კოფი ანანი ისრაელს ბლოკადის შეწყვეტისკენ მოუწოდებს

A3

იაპონიაში უცხოური ფილმები აიკრძალა

A7

"ბარსას" განახლებული "რეალის" არ ეშინია

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 2006 წელი. №192 (1343)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

სამართალი

ქრიმინალური სამყაროს შურისძიება

არაოფიციალური ინფორმაციით, ფოთის პოლიციის შენობაზე მომხდარი თავდასხმა ქურდული სამყაროს მხრიდან შურისძიება იყო.

A2

ამბები

საჩუქარი არჩევნების წინ

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ზუსტად 36 დღით ადრე, თბილისის მერმა გიგი უგულავამ, მთავრობის სხდომაზე პენსიების გაორმაგების საკითხი გაახმაურა. რაც შეეხება რეგიონებში პენსიების გაზრდას, სავარაუდოდ, იგი წლის ბოლომდე განხორციელდება.

A3

ბიზნესი

სტრუქტურული ცვლილებები ენერგოსექტორში

ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით, არსებული მოდელით ფუნქციონირებას შეწყვეტს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სესბ), რომელიც პირველი ივლისიდან რეორგანიზაციის რეჟიმში მუშაობს. მის ნაცვლად 1 სექტემბრიდან სააქციო საზოგადოების სახით კომერციული ოპერატორი ჩამოყალიბდება.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	31/08	1/09
თბილისი	40	39
ბათუმი	44	40
სოხუმი	43	38
ქუთაისი	46	43
გორი	35	36
თელავი	40	38
ონი	30	32
ზუგდიდი	50	42

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7440
ევრო	2.2380
გირვანქა სტერლ.	3.3145
რუბლი	0.0652

სამართალი	A 2
ამბები	A 3
ბიზნესი	A 4
რევიუ	A 5
ტენდერი	A 6
რევიუ	A 7
სპორტი	A 8

რუსეთი აშშ-ს მტერი

სენატორი ლუგარი ენერგოუსაფრთხოების შესახებ

დიმიტრი ავალიანი

გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა, რომელიც ამას წინათ ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა, რუსეთი ამერიკისადმი "მტრულად განწყობილ რეჟიმებს" შორის მოიხსენია და ენერგომატარებლებით მანიპულირებაში დაადანაშაულა. რუსეთის მხრიდან ლუგარის განცხადებებს მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

"მტრული რეჟიმები ვენესუელადან და ირანიდან რუსეთამდე ენერგიის მიწოდებას თავიანთ მეზობლებზე ზეწოლის საშუალებად იყენებენ," - განაცხადა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში საერთაშორისო ენერგეტიკულ სამიტზე, რომელიც სამშაბათს აშშ-ს ქალაქ უესტ ლაფაიეტში გაიმართა.

"ენერგია ამჟამად იქცევა იარაღის უპირატეს სახეობად მათთვის, ვინც მას ფლობს," - განაცხადა ლუგარმა და აღნიშნა, რომ ენერგეტიკის "ძალისმიერი" გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში დიდ საფრთხეს შეიცავს.

"ქვეყნები, რომლებსაც ენერგიის შეწყვეტა ემუქრებათ, შესაძლოა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ და გაიზრდება შეიარაღებული კონფლიქტების განახლების, ტერორიზმის და ეკონომიკური კოლაფსის შანსები," - აღნიშნა სენატორმა.

ლუგარმა იმ საშიშროებაზეც ისაუბრა, რომელსაც აშშ-ს გარედან მოწოდებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება შეიცავს. მისი თქმით, აუცილებელია ენერგორესურსების სფეროში საერთო ეროვნული პროგრამის შემუშავება, **"ნავთობით მდიდარი რეჟიმების მხრიდან გეოპოლიტიკური საფრთხის აღმოფხვრის მიზნით"**. სენატორის თქმით, აშშ წელს ენერგორესურსების შესაძენად 320 მილიარდ დოლარს დახარჯავს, რაც დაახლოებით ის თანხაა, რაც აშშ-ს ერაყში ომისა და რეკონსტრუქციის ხარჯებმა შეადგინა სამი წლის განმავლობაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

ევროპული ქვეყანა, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლით

ხათუნა გაბიევი

გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დოქტორი პატრიცია ფლორი დიპლომატიურ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში ცოტა ხნის წინ შეუდგა, როდესაც როტაციის პრინციპით ყოფილი ელჩი უვე შრამი შეცვალა.

გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დოქტორი პატრიცია ფლორი.

ილიკო ლილუაშვილის ფოტო

- თქვენ საქართველოში მუშაობა თავად არჩიეთ. რამ განაპირობა ეს არჩევანი, რა იცოდით ჩვენი ქვეყნის შესახებ ელჩად დანიშვნამდე?

- ამ რეგიონის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ სტუდენტობისას მივიღე, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ისტორია შევისწავლე. შემდეგ საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის ნახვაც მომიხდა, მაგრამ კავკასიის ხილვამდე ჯერ კიდევ შორი იყო. ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი რეგიონის, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყნის გაცნობის სურვილი მოგვიანებით გამიჩნდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ერთი დამე, ერთი ლექსი

გალაკტიონით აღტაცებული ბრიტანეთი

სოფო კილასონია

უკვე თითქმის ერთი წელია, რაც მას ლონდონსა და თითქმის მთელს დასავლეთ ევროპაში კითხულობენ. ის ვიზუალურად სადაა და ფაქიზი, მისი პრეზენტაციიდან სულ მალე მხოლოდ აღმატებულმა და აღფრთოვანებულმა კრიტიკამ და მხოლოდ არაჩვეულებრივი გრძნობებით დატვირთულმა წერილებმა მოაღწია თბილისამდე. 2006 წლის თებერვლიდან ყველაზე პრესტიჟულსა და ცნობად მაღაზიათა ქსელში - Waterstone-ში ახალი წიგნი, Galaktion Tabidze - Poems იყიდება. მისი შეძენა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე გამოწერით. თუ დასავლეთ ევროპაში ცხოვრობთ და თუ თანამედროვე ლიტერატორივით გატაცებული ის ინგლისელი ბრძანდებით, რომელსაც "პოეზიის შიმშილი" აწუხებს, ეს თქვენი წიგნია. ეს უკანასკნელი ფრაზები ბოლომდე ჩემი არ არის, - პრინციპში ციტირებას ვახდენ იმ ერთ-ერთი წერილიდან, რომლის მსგავსიც მთარგმნელის, პროფესორისა და დოქტორის, ქალბატონი ინესა მერაბიშვილის სახელზე დაიწერა და თბილისს გამოიგზავნა.



გაგრძელება A5 გვერდზე

"რეალური ოპოზიცია" მზად არის

სალომე ზურაბიშვილი ადგილობრივ არჩევნებს ოპტიმიზმით უყურებს

ვერიკო თევზაძე

"ამ ბოლო დღეების გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ გვაჩვენა თავისი უღირსობა და თავისი სისუსტე. მე მგონი, ყველასთვის ნათელი არის, რომ არ შეიძლებოდა კვირა დღეს გამოცხადებულიყო არჩევნების თარიღი... უღირსობით არავინ არაფერს იგებს," - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი აზრით, ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ **"უკვე არაფერი აღარ შეუძლია, ვერაფერს ვეღარ აკეთებს."**

"საქართველოს გზის" ლიდერის აზრით, სწორედ წარუმატებლობა და კარს მომდგარი სერიოზული პრობლემებია მთავარი მიზეზი არჩევნების თარიღის გადმოწევისა: **"ხელისუფლება ვერ აგვარებს კახეთში ვენახის პრობლემას. ვერ აგვარებს გურიაში თხილის საკითხს. ვერ აგვარებს მთის პრობლემებს. ყაზბეგში გადაკეტილია ლარსი და ალბათ, დიდი ხნით იქნება გადაკეტილი. მხოლოდ კოდორით ვერ მოიხსნება მთის პრობლემები."**

სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, ხელისუფლებას არც დედაქალაქში აქვს საქმე კარგად. **"თბილისში პიარკამპანია უკვე ამოიწურა,"** - შენიშნავს ქალბატონი ზურაბიშვილი და რიტორიკულ შეკითხვებს სვამს: **"რამდენი უნდა გააკეთოს უგულავამ იმ ბიუჯეტით, რომელიც უკვე ამოიწურა. რამდენი კლიპი გადაიღოს, რამდენჯერ გამოჩნდეს პლაკატებზე?"**

სალომე ზურაბიშვილის პროგნოზები ოპტიმისტურია. მისი აზრით, ხელისუფლების სისუსტე არის ნიშანი იმისა, რომ "საქართველოს გზას" გამარჯვების ძალზე დიდი შანსი აქვს: **"ჩვენ გვაქვს შანსი, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მომზადებული. არავინ არ დაიჯეროს, რომ ჩვენ გვაწუხებდეს ეს თარიღი".**

სალომე ზურაბიშვილი, რომლის ოპოზიციონერობაში ამჟამინდელი ხელისუფლების სხვა ოპონენტებს ხშირად შეაქვთ ეჭვი, თავდაჯერებულად აღნიშნავს, რომ **"რეალური ოპოზიცია არჩევნებისთვის მზად იქნება."**

"რეალური ოპოზიციის კანდიდატი მე ვარ," - აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

"საქართველოს გზის" ლიდერი ამომრჩეველს აქტიურობისკენ მოუწოდებს და შეახსენებს: **"თუ თქვენ არ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, ხმას მიშა საакაშვილს მისცემთ".**

ახალი საბაჟო ტარიფები ძალაში შედის

კოდექსის ამოქმედების შემდეგ საქართველოში ბიზნესგარემო შეიცვლება

ნინო ნატროშვილი

პირველი სექტემბრიდან ქვეყანაში ახალი საბაჟო კოდექსი და ტარიფები ამოქმედდება. ხელისუფლების გათვლებით, ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებით საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. თუმცა ცნობილია, რომ ყველა სიახლეს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. საბაჟო ტარიფების შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ბიუჯეტს წლის ბოლომდე საგადასახადო შემოსავლების ნაწილში (დღგ-ს სახით) დაახლოებით 20 მილიონი ლარით შეამცირებს. მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ საბაჟო ტარიფების შემცირება და, ხშირ შემთხვევაში, მათი განულება - ეკონომიკური სტიმულირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. არსებობს მოსაზრება, რომ კომპანიების აქტივობა გაიზრდება, ისინი თავიანთ საქმიანობას გააფართოებენ, რაც საერთო ჯამში ბიუჯეტის ამ დანაკლისს სხვა გადასახადების სახით შეავსებს.

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არის ბიზნესზე ორიენტირებული ახალი საბაჟო კოდექსი, რადგან მისი მიზანია გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა (საგარეო ვაჭრობისა და ტრანზიტის მოცულობის გაზრდა) ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა (მოქნილი ადმინისტრირების მექანიზმით ბიზნესის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა).

გაგრძელება A4 გვერდზე

კანონის დარღვევის სანაცვლოდ - გროშები

საბაჟო გამშვებ პუნქტ ლაგოდეხის თანამშრომლებმა, როგორც თავად ამბობენ, უპრეცედენტო ფაქტი აღკვეთეს. სოფელ კაბალის მცხოვრები ფარანა სულეიმანოვა საქართველოში დიდი რაოდენობით განუბაჟებელი ოქროს ნივთების შემოტანას ცდილობდა.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს განუბაჟებელი საქონლის საზღვარზე გადმოტანას, სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა საბაჟო-გამშვებ პუნქტ "ლაგოდეხის" გავლით, სხავდასხვა მეთოდებით მაინც ცდილობს აზერბაიჯანიდან საკვები პროდუქტების, სამომხმარებლო ნივთებისა და იაფად შეძენილი საწვავის შემოტანას. ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მცხოვრებმა ფარანა სულეიმანოვამ, ფარულად, 150 გრამი ოქროს გადმოტანა სცადა. მებაჟეების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ფაქტი ადგილზე გამოვლინდა. როგორც საბაჟო გამშვებ პუნქტ "ლაგოდეხის" უფროსმა გივი სხილაძემ განაცხადა, ოქროს შემოტანის მცდელობა საბაჟო "ლაგოდეხის" ტერიტორიაზე პირველად დაფიქსირდა. **"უნდა აღვნიშნო, რომ ოქროს ფარულად შემოტანის მცდელობა პირველი შემთხვევა იყო ჩვენს საბაჟო გამშვებ პუნქტზე. მებაჟეების მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაეგზავნა რეგიონალურ საბაჟოს"** - ამბობს გივი სხილაძე, რომლის განმარტებითაც, იმ შემთხვევაში, თუ ჩამორთმეული ოქროს საბაჟო ღირებულება 3 ათას ლარს გადააჭარბებს, ფარანა სულეიმანოვას მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

გაგრძელება A2 გვერდზე

კრიმინალური სამყაროს შურისძიება

ფოთის პილიციის შენობას დაუდგენელმა პირებმა ორი ხელყუმბარა ესროლეს და ავტომატების ჯერით დაცხრილეს. ინციდენტი გუშინ, გვიან ღამით მოხდა. როგორც გეგიძის ქუჩის მცხოვრებლები აცხადებენ, აფეთქებას ავტომატის გაბმული ჯერი მოჰყვა, რაც 2-3 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

თავდასხმის შემდეგ საშიშროება შეიქმნა მეორე ხელყუმბარის გამო, რომელიც არ აფეთქდა. მოგვიანებით, შემთხვევის ადგილზე გამნაღმველთა ჯგუფი მივიდა და პრობლემა მოიხსნა. პოლიციის შენობის გარდა, დაცხრილულია შენობის ეზოში მდგარი ავტომანქანები. თუმცა, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. თავდამსხმელებმა კი გაქცევა მოასწრეს.

მომხდართან დაკავშირებით, თავდაპირველად, პოლიციაში კომენტარს არ აკეთებდნენ. თუმცა, მოსახლეობაში თავიდანვე გაჩნდა ვერსია და ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ფოთში ჩატარებულ სპეცოპერაციას დაუკავშირდა, რომლის დროსაც კანონიერი ქურდი ხვიჩა კოკაია მოკლეს. სპეცოპერაციისას ფოთის პოლიციის უფროსი ირაკლი ჯიქია მძიმედ დაიჭრა.

არაოფიციალური ინფორმაციით, პოლიციის შენობაზე მომხდარი თავდასხმა ქურდული სამყაროს მხრიდან შურისძიება იყო.

მოგვიანებით, ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქალაქ ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა და ფოთის მკვიდრი კობა ბერაია დააკავა. სპეცოპერაციის დროს ბერაიას სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაკავებული პოლიციის შენობის დაცხრილვაშია ეჭვმიტანილი. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, აქვთ თუ არა სამართალდამცველებს ბერაიას ბრალეულობის ზუსტი მამხილებელი ფაქტები და არსებობენ თუ არა თვითმხილველები. ეჭვმიტანილი გადაყვანილია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის შენობაში და მიმდინარეობს გამოძიება. გავრცელებული ინფორმაციით, კობა ბერაია კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია.

მოგვიანებით კი შს სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თავდასხმის დროს ფოთის პოლიციის შენობაში მყოფმა ოპერატიულმა ჯგუფმა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილთან ახლოს დაკავეს ეჭვმიტანილები : 19 წლის მერაბ ჯალაღონია, რომელსაც დაკავებისას ხელყუმბარა აღმოაჩნდა. ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად კი დააკავეს ადრე ნასამართლევი, 53 წლის გურამ მზარელუა, რომელიც კანონიერი ქურდის, მერაბ მზარელუას ძმაა. მზარელუა თავადაც ადასტურებს, რომ ქურდული სამყაროს წარმომადგენელია. გურამ მზარელუას ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა. დაკავებულა ასევე დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის წევრი, 27 წლის კობა ბერია, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი". ამჟამად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა დამნაშავე პირთა ადგილსამყოფელის დადგენისა და მათი დაკავების მიზნით.

24 საათი

რუსული მედია ცხინვალიდან პროვოკაციულ ინფორმაციას აბრუებს

"სამხრეთ ოსეთის" ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის წარმომადგენლების განცხადებაზე დაყრდნობით, სააგენტო "როსბალტინმ" კვლავ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ქართულმა მხარემ ცხინვალის მიმართულებით გუშინ ღამით ცეცხლი გახსნა.

ოსური მხარის ცნობით, ავტომატური იარაღიდან ქართველებმა ცეცხლი გაუხსნეს თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიმიგრაციო სამსახურს. ასევე გავრცელებული ინფორმაციით, ქართული სოფლიდან ერედვიდან 10 წუთის განმავლობაში ისროდნენ სოფელ ფრისთან განლაგებული რუსი სამშვიდობო ძალების პოსტის მიმართულებით. "სამხრეთ ოსეთის" შსს-ს ინფორმაციით, სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. კომიტეტის მიერ გავრცელებული განცხადებაში აღნიშნულია, რომ "ქართული მხრიდან განხორციელებული პროვოკაციული ქმედებები სისტემატურ ხასიათს იღებს". როგორც ცნობილია, ქართული შენაერთების მიერ ცხინვალის მიმართულებით ცეცხლის გახსნის შესახებ ინფორმაციას ოსური მხარე ადრეც ხშირად ავრცელებდა.

ქარულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი ქართველ სამშვიდობოთა სარდალი პაატა ბედიანაშვილი ოსური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და მტკნარ სიცრუესა და პროვოკაციას უწოდებს.

"ოსების გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. არავითარი სროლა ქართული პოზიციებიდან ცხინვალის მიმართულებით არ ყოფილა. მეტიც, გუშინ ღამით ოსების მიერ კონტროლირებადი - მამისუბნიდან და გუგაურის რაიონებიდან, ქარული საგუშაგოების მისამართით გაიხსნა ცეცხლი", - ამბობს პაატა ბედიანაშვილი.

რუსი სამშვიდობოები სროლების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ. ისინი არც ქართული და არც ოსური მხარეებისგან სროლის ფაქტს არ ადასტურებენ.

24 საათი

მოსამართლეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ადანაშაულებენ

დუშეთის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს თემურ ჯერვალიძეს იუსტიციის საბჭოში უჩივიან.

"მოსამართლემ 2006 წლის 22 აგვისტოს რამაზ ქავთარაძის მიმართ გამოტანილი განაჩენით, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა", - აცხადებს რამაზ ქავთარაძის ადვოკატი ირმა ჭკადუა და იუსტიციის საბჭოსგან დუშეთის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის დასჯას მოითხოვს

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2006 წლის 27 თებერვალს დუშეთის რაიონში, სოფელ მენესოში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი რამაზ ქავთარაძე მეგობრებთან ერთად სამედიცინო პრეპარატის სათხოვნელად მივიდა გივი ციხელაშვილთან. გამოძიების მტკიცებითვე, რამაზ ქავთარაძემ შეურაცხყოფა მიაყენა ციხელაშვილს, მისი ოჯახის წევრებს და იარაღიდანაც გაისროლა.

"ის, რომ რამაზ ქვთარაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება ყალბია, სასამართლო პროცესზე დადასტურდა. გამოძიების ვერსია და ბრალდებები სასამართლოში არ დაადასტურეს", - აცხადებს მსჯავრდებულის ადვოკატი. მისი განმარტებით, საპატრულო პოლიციის გამომძიებელმა საქმეში მოწმეთა ჩვენებები გააყალბა. მოსამართლე ჯერვალიძემ კი სწორედ ამ გაყალბებული ჩვენებების საფუძველზე მიუსაჯა სამწლიანი პატიმრობა ბრალდებულს.

ჩვენი ინფორმაციით, მსჯავრდებულის ადვოკატების მოთხოვნით, დუშეთის საოლქო პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება, იმის დასადგენად, მართლაც გააყალბა თუ არა მოწმეთა ჩვენებები საპატრულო პოლიციის გამომძიებელმა.

ადვოკატები მოსამართლე თემურ ჯერვალიძის მიერ გამოტანილი განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.

"დუშეთის რაიონში ასეთი უკანონო განაჩენის გამოტანის ფაქტები ხშირია, ამის დასადასტურებლად მხოლოდ ერთი ფაქტიც საკმარისია. ალბათ ყველას ახსოვს, როგორ გამოუტანეს განაჩენი და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს ადრე ნასამართლეობის გამო, 1 ბოთლი ლუდის მოპარვაში ბრალდებულს", - აცხადებს ადვოკატი ირმა ჭკადუა.

მედიანიუსი

ქართველი ავტორიტეტი რუსეთში დააკავეს

მოსკოვის ოლქში, კრასნოგორსკის რაიონში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მსვლელობისას სამართალდამცველებმა მრავალჯერ ნასამართლევი ქართველი "კანონიერი ქურდი" გიორგი ღლონტი, მეტსახელად "კოკილო" დააკავეს. ღლონტის დაკავება იმ დროს მოხდა, როცა ის ინსპექტორს 450 მანეთის ოდენობის ქრთამს სთავაზობდა. ადგილობრივი სამართალდამცველების ინფორმაციით, ღლონტის წინააღმდეგ კრასნოგორსკის პროკურატურაში თანამდებობის პირისთვის ქრთამის შეთავაზების მუხლით უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ღლონტს უკვე შეუფარდეს აღმკვეთი ღონისძიება და იზოლატორში იმყოფება.

გავრცელებული ინფორმაციით, 46 წლის გიორგი ღლონტი წარმოშობით ოზურგეთის რაიონიდან არის. ის უკვე რამდენიმე წელია მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფებების აღიარებულ ლიდერად ითვლება. ღლონტი კავკასიური წარმოშობის სხვა ავტორიტეტებთანაც დაახლოებულია.

უკანასკნელად "კოკილო" 2002 წელს მოსკოვში დააკავეს და 2 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე თვის წინ, ის "კანონიერ ქურდთან" ვახტანგ ქარდავასთან ერთად იმყოფებოდა, როცა ამ უკანასკნელს ხუთმა შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა და ადგილზე ჩაცხრილა.

ჯი-ეიჩ-ენი

კანონის დარღვევის სანაცვლოდ - გროშები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დიდი რისკის ფასად კონტრაბანდული ტვირთის შემოტანის მცდელობას მოქალაქეები მძიმე სოციალურ პირობებს უკავშირებენ. ისინი გართულებულ საბაჟო პროცედურებზეც აკეთებენ მინიშნებას და ხელისუფლებისგან ყურადღებას მოითხოვენ.

"ჩვენთვის საარსებო წყარო მხოლოდ აზერბაიჯანში იაფად ნაშოვნი სხვადასხვა სახის საქონელია, საიდანაც მცირე მოგება გვაქვს. საბაჟოზე კი განბაჟების პროცედურები და საბაჟო კანონები იმდენადაა გამკაცრებული და გართულებული, რომ ბევრი რამის გადმოტანას ვერ ვახერხებთ და ამიტომ გვიწევს ხშირად კანონის დარღვევა. ჩუმად ვცდილობთ ტვირთის შემოტანას, ეს ჩვენი ერთადერი გზაა არსებობისათვის, თუმცა ამ გზამ შესაძლოა ციხის კარამდეც მიგვიყვანოს," - ჩივიან ის ადამიანები, რომლებმაც, შესაძლოა, ფარანა სულეიმანოვას ბედი გაიზიარონ.

მოკლედ

სიმამრმა სიძის მკვლელობა აღიარა

სადახლოს პოლიციის უფროსის უჩა ჯანელიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა, მოკლულის სიმამრმა - 57 წლის ვახტანგ თელიამ დანაშაული აღიარა.

როგორც ეჭვმიტანილი აცხადებს, იგი მომხდარს არ ნანობს და ნებისმიერ შემთხვევაში ასე მოიქცეოდა. ვახტანგ თელიას განცხადებით, მან სიძის მკვლელობით თავისი ქალიშვილი მეუღლის აგრესიისგან გაათავისუფლა. ეჭვმიტანილი ირწმუნება, რომ სიძე მეუღლეს ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა.

ეჭვმიტანილის დასაკავებლად მთავარი ნივთმტკიცება - "გლოკის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი მის ავტომანქანაში იპოვეს.

შეგახსენებთ, რომ სადახლოს პოლიციის უფროსი უჩა ჯანელიძე გუშინწინ, შუაღამისას თემქის მესამე მიკრორაიონში მოკლეს. სადახლოს პოლიციის უფროსი საკუთარ ბინაში, მისივე იარაღით იყო მოკლული. უჩა ჯანელიძეს რვა ტყვია აქვს მოხვედრილი. გუშინვე, ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავეს მოკლულის მეუღლე და სიმამრი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო აწარმოებს. ***ინტერპრესნიუსი***

ხმაური წალენჯიხის სასამართლოში

ხმაური იყო გუშინ წალენჯის რაიონულ სასამართლოში, სადაც რამინ პუხალეიშვილის ოჯახზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი ფარსადან მანიას საქმე უნდა განხილულიყო. ყაჩაღურმა ჯგუფმა პუხალეიშვილების ოჯახზე თავდასხმა 13 იანვარს განახორციელა. შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს 30 ლარი, 100 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი და სამარშრუტო ავტომანქანა, რომელიც მოგვიანებით ოჯახს შუამავლის დახმარებით დაუბრუნდა. დაზარალებულების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სხვა თავდამსხმელების მსგავსად, ფარსადან მანიას სახეზე ნიღაბი ეკეთა, იგი მაინც ამოიცნეს. მანიას ადვოკატი ჯოლოგუა კი ამტკიცებს, რომ დაზარალებულები ცრუ ჩვენებას იძლევიან. მისივე თქმით, გუშინდელი სასამართლო პროცესი სწორედ იმის გამო გადაიდო, რომ ე.წ. დაზარალებულ მხარეს არ სურს ცრუ ჩვენების გამეორება ფარსადან მანიას ახლობლების წინაშე. სასამართლოს ეზოში ხმაური მოჰყვა მანაიას წინასწარი დაკავების საკანში გადაყვანას. ***ინტერპრესნიუსი***

ევროკომისიის პროექტი იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ სამინისტროში დაიწყო ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომლის მიზანი, იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციული და მენეჯმენტის რეფორმის ხელშეწყობის გზით, საქართველოში სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმის მხარდაჭერაა. 18 თვის განმავლობაში უცხოელი ექსპერტები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის განხორციელება იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. პროექტის ბიუჯეტი 1 500 ათასი ევროს შეადგენს. პროექტის ფარგლებში ექვსი უცხოელი ექსპერტი იმუშავებს, რომელთა კონკრეტული რეკომენდაციები სამინისტროს ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესს, ადამიანური რესურსებისა და ბიუჯეტის მართვასთან მიმართებაში სამინისტროს ინსტიტუციონალური ეფექტურობის გაზრდასა და სამოქალაქო რეესტრის რეფორმას შეუწყობს ხელს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: სამინისტროს მართვის სისტემის შეფასება, თანამშრომლების ტრენინგი, ინვესტიციების განხორციელება და ა.შ. **24 საათი**

პრაქტიკოს მეცნიერთა აზრი კანონპროექტზე

იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე სასჯელაღსრულების დაწესებულებათა დირექტორებს შეხვდება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, გივი მიქანაძე, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი არსოშვილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი კობა ღლონტი გუშინ ქუთაისში გაემგზავრნენ. დაგეგმილია შეხვედრა ქუთაისის N2 და გეგუთის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებების, აგრეთვე ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილეების ხელმძღვანელებთან, სადაც "პატიმრობის კოდექსის" პროექტზე განიხილავენ. "პატიმრობის კოდექსის" პროექტზე მუშაობა იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს. ამჯერად კონსულტაციები უშუალოდ სასჯელაღსრულების სფეროს პრაქტიკოს სპეციალისტებთან გაიმართება. ამის შემდგომ კანონპროექტი განსახილველად სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობ კომისიას გადაეცემა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ხელმძღვანელობს. სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობ კომისიაში მოსმენის შემდეგ კანონპროექტი განსახილველად ჯერ მთავრობის სხდომაზე, ხოლო შემდეგ პარლამენტში გავა.

24 საათი

ორი ქვეყნის მესაზღვრეები ინფორმაციებს გაცვლიან

დღეს მესტიაში რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამმართველოს ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის სასაზღვრო რაზმების ხელმძღვანელთა (ცხრაკაციანი დელეგაცია) და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართება. ქართულ მხარეს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე, პოლკოვნიკი თამაზ კილაძე უხელმძღვანელებს. შეხვედრის მიზანია საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე არსებული ვითარების განხილვა და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა, ასევე საზღვარზე ერთობლივი ღონისძიებების სრულყოფა. როგორც ცნობილია, საქართველოს და რუსეთის მესაზღვრეებს შორის ანალოგიური შეხვედრები პერიოდულად იმართება ხოლმე და როგორც თავად ირწმუნებიან, ამას საზღვრის დაცვაში დადებითი შედეგები მოსდევს. ***მედიანიუსი***

ბრალდებული ნებისმიერი სასჯელისთვის მზად არის

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გუშინ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 2 წლის დავით სორდიას მკვლელობაში ბრალდებულ რამაზ ქარცხიას. ფარცხიამ ადვოკატის აყვანაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ მზად არის ნებისმიერი სასჯელის მოსახდელად. შეგახსენებთ, ტრაგიკული შემთხვევა ანაკლიაში 28 აგვისტოს მოხდა. ორი წლის დავით სორდია ბრმა ტყვიას ემსხვერპლა. ერთ-ერთი ვერსიით, ტყვია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელმა რამაზ ქარცხიამ "ბმვ"-ს მარკის ავტომობილიდან შემთხვევით მაშინ გაისროლა, როდესაც მეგობარ გოგონას მარიუზა ქარჩავას სროლას ასწავლიდა. ქარჩავასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე ზუგდიდის სასამართლო დღეს იმსჯელებს. ***ინტერპრესნიუსი***

შავი ზღვის სანაპირო ზოლში მესაკუთრეებს მიწები ჩამოართვეს

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა თანამდებობის პირებისა და ე.წ. კანონიერი ქურდების ქონების კანონიერების შესწავლის პარალელურად, იმ მესაკუთრეთა ქონებით დაინტერესდა, რომლებმაც 1997-2004 წლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში მიწები იყიდეს. სამართალდამცველების ინფორმაციით, პროკურატურამ გრიგოლეთსა და წყალწმინდაში კერძო პირებს არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ჩამოართვა. აღნიშნულ ტერიტორიაზე სულ 2005 კვადრატული მიწის ნაკვეთი ცნეს უკანონოდ. მიწები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. პროკურატურაში არ ასახელებენ იმ მეწარმეთა ვიანობას, ვისაც შავი ზღვისპირა ზოლში მიწები ჩამოართვეს.

ინტერპრესნიუსი

მოკლედ

ნოტარიუსთა კანდიდატების კონკურსი იწყება

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრ გია ქავთარაძის ბრძანებით, 7 სექტემბერს ნოტარიუსობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა, რომელშიც მონაწილეობას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 36 იურისტი მიიღებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 7 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა. სულ იუსტიციის სამინისტროში 36 განაცხადი შევიდა. კონკურსი გამოცხადებულია შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: 1. ვანის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 2 განცხადება); 2. ხარაგაულის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 3. ამბროლაურის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 4. ნინოწმინდის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 2 განცხადება); 5. ცაგერის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 6. რუსთავი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 7 განცხადება); 7. კასპის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 4 განცხადება); 8. ბორჯომი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 5 განცხადება); 9. სენაკი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 10. ერედვის თემი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 11. ქურთის თემი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება); 12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოხუმის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 9 განცხადება), 13. აფხაზეთის ა/რ გულრიფშის რაიონი - 1 ვაკანტური თანამდებობა (შესულია 1 განცხადება). **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსეთი - აშშ-ს მტერი

პირველი გვერდიდან

"ჩვენი ეკონომიკური ჯანმრთელობა იმ ძალებზეა დამოკიდებული, რომლებიც შორს, ჩვენს კონტროლს მიღმა იმყოფებიან, მტრულად განწყობილი ქვეყნების ჩათვლით," - განაცხადა ლუგარმა. მისი თქმით, აშშ მსოფლიოში სამხედრო ძალების განლაგებას იმისთვისაც ინარჩუნებს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ნავთობის მოწოდება დაიცვას.

თუმცა, მისი თქმით, **"იმის გარანტია არ არსებობს, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები ენერგეტიკული კატასტროფის თავიდან აცილებას შეძლებენ"**. ლუგარის განცხადებით, ნავთობის იმპორტირებით აშშ **"პრობლემას ყოველდღიურად ამწვავებს, მონაწილეობს რა უდიდესი სიმდიდრის გადაცემაში ავტორიტარული რეჟიმებისათვის"**.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი რიჩარდ ლუგარის განცხადებებს კრიტიკულად შეხვდა. მისი თქმით, სენატორი აშშ-სათვის დამახასიათებელი "ნავთობპოლიტიკური კომპლექსების" რუსეთისათვის გადაბრალებას ცდილობს. მარგელოვის აზრით, თავად აშშ-ს პოლიტიკა "ნავთობითაა გაჟღენთილი", და - ენერგეტიკითაც. რუსი ანალიტიკოსის აზრით, აშშ ნავთობს თავად იყენებს იარაღად, **"კერძოდ, როდესაც, მაგალითად, ცენტრალური აზიის ქვეყნებს რუსეთის გვერდის ავლით ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობისაკენ აქეზებს"**.

ლუგარმა იმ საშიშროებაზეც ისაუბრა, რომელსაც აშშ-ს გარედან მოწოდებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება შეიცავს.

რაც შეეხება რუსეთს, მარგელოვის თქმით, ნავთობი და გაზი მართლაც იარაღია, მაგრამ რუსეთი მას "ქარქაშში ინახავს". ხოლო ლუგარი მან "არამოტივირებულ რუსოფობიაში" დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ სენატორის განცხადება "მხოლოდ მისი პირადი აზრია".

საჩუქარი არჩევნების წინ

სექტემბრიდან თბილისელი პენსიონრები პენსიას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მიიღებენ. დედაქალაქში პენსია, ფაქტობრივად, გაორმაგდება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ზუსტად 36 დღით ადრე, თბილისის მერმა გიგი უგულავამ, მთავრობის სხდომაზე პენსიების გაორმაგების საკითხი გაახმაურა. რაც შეეხება რეგიონებში პენსიების გაზრდას, სავარაუდოდ, იგი წლის ბოლომდე განხორციელდება.

ნათია მსხილაძე

თბილისელი პენსიონერები ხუთ კატეგორიად დაყვეს: 5 წლამდე სტაჟის მქონე 85 ათას პენსიონერს პენსია 40 ლარი ექნება, 5-დან 15 წლამდე სტაჟის მქონე 5 ათას პენსიონერს 42 ლარამდე, 15-დან 25 წლამდე სტაჟის მქონე 30 ათას პენსიონერს 45 ლარამდე, ხოლო 25 წლის ზევით სტაჟის მქონე 65 ათას პენსიონერს პენსია 48 ლარამდე გაეზრდება.

"ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ეს თანხა ვერ იქნება მოთხოვნის ადეკვატური, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვარდების რევოლუციამდე პენსია 14 ლარს შეადგენდა. მხარს ვუჭერ თბილისის მერის გიგი უგულავას გადაწყვეტილებას თბილისელი პენსიონერებისთვის პენსიის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაზრდის შესახებ. არჩევნების შემდეგ, ჩვენ ხელს შევუწყობთ ადგილობრივ თვითმმართველობებს, რათა მათ შესაბამისი რესურსები გამონახონ და მომავალი წლიდან, ადგილობრივი მმართველობის მექანიზმების გამოყენებით, რეგიონებში პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაიზარდოს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

იმისთვის, რომ საქართველოში ევროპული დონის პენსიები არსებობდეს, საპენსიო სისტემის მთლიანად შეცვლაა საჭირო. თუმცა, მანამდე თბილისის მერიასა და სხვა ადგილობრივ მმართველობებს შეუძლიათ არსებული პენსიების გაუმჯობესება, - ასე აფასებს სახელმწიფოს შესაძლებლობებს პრეზიდენტი.

თბილისელი პენსიონერებისთვის პენსიის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მიიღება, პრეზიდენტმა სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანობის გამოვლინებამ შეაფასა. **"არ შეიძლება, რომ ის ადამიანი, ვისაც მთელი ცხოვრება ხელი არ გაუნძრევია იმავე რაოდენობის პენსიას იღებდეს, რამდენსაც ყოფილი პერსონალური პენსიონერი, რომელსაც სახელმწიფომ საკუთარი მიღწევების და კარგი შრომის გამო უამრავი მადლობა გადაუხადა და ჯილდო გადასცა,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, თუ პენსიების ზრდის ინიციატივა რეგიონებზეც გავრცელდება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა არჩევნების შემდეგ, ახალ წლამდე დარჩენილი სამი თვე პენსიონერთა მონაცემთა ბაზის შექმნისთვის უნდა გამოიყენონ.

კოფი ანანი ისრაელს ბლოკადის შეწყვეტისკენ მოუწოდებს

თეა მაისურაძე

გუშინ გაეროს გენერალური მდივანი ისრაელის პრემიერ-მინიტრს, ეუდ ოლმერტს შეხვდა. კოფი ანანმა კიდევ ერთელ მოუწოდა ისრაელს, რომ ლიბანზე სახმელეთო და საზღვაო ბლოკადა მოეხსნა, რომელიც უკვე შვიდი კვირის განმავლობაში გრძელდება.

ოლმერტთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კოფი ანანმა განაცხადა, რომ ლიბანზე ბლოკადის მოხსნა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს მას ხელს შეუწყობს გამოვიდეს ომის შემდგომი მძიმე მდგომარეობიდან: **"საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ბლოკადა ლიბანის სუვერენულ უფლებებს ზღუდავს,"** - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

ისრაელის ოფიციალური განცხადებით, ლიბანზე ბლოკადა არ მოიხსნება მანამდე, ვდრე არ იქნება გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები იმ კონტრაბანდული იარაღის ტრანსპორტირების აღსაკვეთად, რომლითაც "ჰეზბოლას" ტერორისტული დაჯგუფების მომარაგება ხდება. ისრაელის სახელმწიფო წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ ბლოკადა მაშინ მოიხსნება, როდესაც გაეროს სამშვიდობოები ლიბანის სახელმწიფო ჯართან ერთად სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე განლაგდებიან. კოფი ანანმა იმედი გამოთქვა, რომ UNIFIL-2-ი სრული შემადგენლობით უახლოეს მომავალში შეუდგება მანდატის შესრულებას, რომელიც 1978 წელს მიღებული რეზოლუციებით 425 და 426 განისაზღვრა.

"გაეროს სამშვიდობო მისიის 2 500-მდე ჯარისკაცი უკვე იმყოფება ლიბანის ტერიტორიაზე. ჩვენ ამ რაოდენობას უახლოესი დღეებისა და კვირების განმავლობაში გავაორმაგებთ... მე იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ, რაც ამას გავაკეთებთ, ისრაელი თავის არმიას გაიყვანს და გაეროს რეზოლუცია 1701 ეფექტურად განხორციელდება," - განაცხადა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა.

შეგახსენებთ, რომ რეზოლუცია 1701, რომელიც მიმდინარე წლის 11 აგვისტოს იქნა მიღებული, ითვალისწინებს კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტას და გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებას ლიბანის სახელმწიფო არმიასთან ერთად სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე. UNIFIL-2-ის შემადგენლობა 15 ათასი ჯარისკაცით განისაზღვრა.

კოფი ანანანმა ეუდ ოლმერტთან ლიბანიდან ისრაელის არმიის გაყვანის საკითხზეც ისაუბრა. გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაეროს მრავალეროვნული სამშვიდობო მისიის (UNIFIL-2 - United Nations Interim Force in Lebanon) სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე განლაგების პროცესში, ებრაული ჯარი პარალელურ რეჟიმში დატოვებს ლიბანის ტერიტორიას.

გაეროს გენერალური მდივანი "ჰეზბოლას" მიერ დატყვევებული ისრაელელი ჯარისკაცების მშობლებსაც შეხვდა და პირობა მისცა მათ, რომ გაერო ტყვეების დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებდა. კოფი ანანმა "ჰეზბოლას" დაჯგუფებას ებრაელი ჯარისკაცების უპირობო განთავისუფლებისაკენ მოუწოდა. ამ შეხვედრას ღაზას სექტორში, პალესინელების მიერ დატყვევებული ჯარისკაცის მშობლებიც ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ეუდ ოლმერტთან შეხვედრამდე კოფი ანანი ლიბანში იმყოფებოდა. ისრაელში ვიზიტის შემდგომ გაეროს გენერალური მდივანი სირიასა და ირანს ეწვევა, რომელთაც "ჰეზბოლას" სამხედრო დაჯგუფებასთან მჭიდრო ურთიერთობები გააჩნიათ.

გაეროს გენერალური მდივნის რეგიონალური ტურნე მიზანმიმართულია კონფლიქტის გარეგულირებისა და მისი მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ.

ერთი წელი "კატრინადან"

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ქარიშხალ "კატრინას" შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიაგო პატივი. იგი, ორდღიანი ვიზიტით, სტიქიის მიერ ყველაზე მეტად დაზარალებულ შტატებში - მისისიპსა და ლუიზიანაში გაემგზავრა. სამგლოვიარო ცერემონიალზე წარმოთქმული სიტყვისას ბუშმა აღიარა, რომ მისმა ადმინისტრაციამ "ქარიშხლის შედეგების დასაძლევად ყველაფრის გაკეთება ვერ მოახერხა" და აშშ-ის ხელისუფლების ქმედებებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.

ქარიშხალმა "კატრინამ" ნიუ ორლეანს (ლუიზიანას შტატი) 2005 წლის 29 აგვისტოს გადაუარა. მას 1 800 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ფინანსურმა ზარალმა კი 80 მილიარდი დოლარი შეადგინა. "კატრინა" აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდ სტიქიურ უბედურებად ითვლება.

ინტერპრესნიუსი

ევროპული ქვეყანა, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლით

პირველი გვერდიდან

მე ვიცოდი, რომ საქართველო ძალიან ძველი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა, რომ ამ ლამაზ ქვეყანაში ადამიანები ძალიან გულღია და გულთბილები არიან. საქართველოს შესახებ მე ბევრი კოლეგა მიყვებოდა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საქართველო ევროპული ქვეყანაა, ევროკავშირის მეზობელი ქვეყანაა. ამიტომ გასაგებიცაა ჩემი ინტერესი - მოღვაწეობა დამეწყო ამ ქვეყანაში, რათა კიდევ უფრო მეტად გამეღრმავებინა ის ურთიერთობები და კავშირები, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი გერმანიასა და საქართველოს შორის არსებობს.

- გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და განწყობა საქართველოს მიმართ, რაც აქ ჩამოსვლამდე გქონდათ?

- საქართველოს შესახებ ჩემი წარმოდგენა ნამდვილად სრულად გამართლდა, ხალხი აქ ისეთი გულღიაა, ისეთი განწყობის, რომ მაშინვე შედიხარ მათთან დიალოგში, მაშინვე გიჩნდება სურვილი, გაესაუბრო მათ. დიალოგის პრობლემა აქ არ არსებობს. რაც შეეხება კულტურულ მემკვიდრეობას, მე უკვე დავათვალიერე დვით გარეჯი და ბოდბე. გარდა ამისა, ვიყავი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისსა და აჭარაში, სადაც ბევრი საინტერესო რამ მელოდა. თბილისში საუკეთესო შთაბეჭდილებებით დავბრუნდი.

- როგორ შეაფასებდით საქართველოს ახლანდელ მდგომარეობას, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასა და საინვესტიციო გარემოს?

- სანამ ამ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, ნება მომეცით, ორიოდე სიტყვით კონფლიქტების თემას შევეხო. ადგილობრივ კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა ჩამოსვლისთანავე დავიწყე, რადგან სურვილი მაქვს, ჩემი წვლილი შევიტანო ამ მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტაში. ვფიქრობ, რომ ეს ძალინ მნიშვნელოვანი საკითხებია ამ რეგიონისთვის. საქართველოს ახლა რთული პერიოდი აქვს და ხშირად უწევს ძალიან მკაცრი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ პრობლემების დაძლევისა და გადაწყვეტისთვის საქართველოს ენერგიას, მის ძალისხმევასა და მოწადინებას, დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში სურათი მნიშვნელოვნად შეიცვლება. ორიოდე სიტყვა დემოკრატიის შესახებაც მინდა ვთქვა - ვისურვებდი, რომ საქართველოში არსებობდეს ძლიერი, კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც ასევე კონსტრუქციულ შეხვედრებსა და საუბრებში ხელისუფლებასთან ერთად განიხილავს ქვეყნის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. რაც შეეხება ეკონომიკასა და საინვესტიციო გარემოს, თქვენთვის ცნობილია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი ფარგლების შექმნას, რათა უცხოური ინვესტიციისთვის მიმზიდველი და საინტერესო გარემო შეიქმნას.

- მოგეხსენებათ, საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა. ჩვენი ქვეყანა აქტიურად ცდილობს, დაარწმუნოს დასავლელი პარტნიორები, მხარი დაუჭირონ მას. როგორი პოზიცია აქვს გერმანიის მთავრობას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით?

- საქართველომ უკვე საკმაოდ ბევრი გააკეთა ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით, მაგალითისთვის, ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შემუშავებაც საკმარისია. გერმანიამ საკმაო დახმარება გაუწია საქართველოს, მათ ერთობლივად მოამზადეს ოფიცრები, როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. გერმანიამ სერჟანტთა მომზადების სკოლასაც გაუწია დახმარება, როგორც კონსულტაციების, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ მივესალმებით ახალი წევრების მიღებას ნატო-ში, შემდგომ გადაწყვეტილებებს კი საქართველოსთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, თვითონ ნატო-ს ფარგლებში მიიღებენ. მე პირადად, საქართველოსთან დაკავშირებით ეს სურათი შემდეგნაირად წარმომიდგენია: შეიქმნება თუ არა ინტენსიური დიალოგის ატმოსფერო საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პრობლემაც გადაწყდება, მაგრამ ნატო-ში შესვლამდე კიდევ გრძელი გზა ანუ რამდენიმე ეტაპია გასავლელი. გერმანია ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წევრი-სახელმწიფოების მხრიდან ყველა იმ წინაპირობის შესრულებას, რომელიც თავის მხრივ, ამ კავშირის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. გერმანია კვლავინდებურად განაგრძობს დახმარების გაწევას საქართველოსთვის ამ პროცესის წარმატებულად გავლისთვის.

- რაც შეეხება ქვეყნის მეორე მნიშვნელოვან პრიორიტეტს - ევროკავშირში გაწევრიანებას. გერმანიას, როგორც მომავალ თავმჯდომარე ქვეყანას, რა დამოკიდებულება აქვს ევროკავშირის გაფართოების მიმართ და თქვენი აზრით, იქცევა თუ არა სამეზობლო პოლიტიკა გაწევრიანების წინა ეტაპად ჩვენი ქვეყნისთვის?

- ბოლო წლებში ევროკავშირმა გაფართოების საკმაოდ ინტენსიური ეტაპი განვლო. როდესაც ევროკავშირი გადაწყვეტს, რომ რომელიმე ქვეყანა უკვე მზადაა, იწოდებოდეს ევროპული სივრცის სრულუფლებიან წევრად, ეს იმას ნიშნავს, რომ პირობების შესრულებასთან ერთად უნდა არსებობდეს ორივე სტრუქტურის ხალხების მზაობაც. ამჟამად კი, შეიძლება ითქვას, რომ გაფართოების დიდი ეტაპის გავლის შემდეგ ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მოსახლეობის მხრიდან ცოტა შიში თუ დაღლილობა ან თუნდაც, მობეზრებულობა იგრძნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ევროკავშირის შემდგომი გაფართოების შესახებ საუბარი ნაადრევია. მოგეხსენებათ, როგორც კი ევროკავშირში ახალი წევრის მიღების საკითხი დგება, პარალელურად დღის წესრიგში არსებული რესურსების ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე ხელახალი გადანაწილების აუცილებლობაც დგება ხოლმე. ამასთან დაკავშირებით კი, ბუნებრივია, ისმის კითხვა, საიდან უნდა იქნეს აღებული ფული იმისთვის, რომ ამაღლდეს იმ ქვეყნების ცხოვრების სტანდარტი, რომლებსაც ევროკავშირის წევრობა სურთ. ისინი, თავისი ცხოვრებისეული სტანდარტით, როგორც წესი, საშუალო დონესაც ვერ აკმაყოფილებენ, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ზოგიერთი საშუალოზე დაბალ დონეზეც კი იმყოფება. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ წევრთა რაოდენობის ზრდის პარალელურად შეთანხმების შესაძლებლობებიც კლებულობს. ცხადია, 10 წევრი უფრო ადვილად შეთანხმდება რაღაცაზე, ვიდრე, ვთქვათ, 15. ჩვენ კი ამჟამად 25 ვართ და წარმოიდგინეთ ახლა შეთანხმების თვალსაზრისით კოფიციენტმა როგორ იკლო. ნებისმიერი მოქალაქისთვის, გერმანიაში იქნება ეს, საფრანგეთში თუ ევროკავშირის ნებისმიერ სხვა წევრ ქვეყანაში, ძნელი გასაგები ხდება, თუ როგორ არსებობს დღეს ევროკავშირი. ამიტომ ევროკავშირს ახლა თავისი შიდა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, შიდა სტრუქტურები აქვს დასახვეწი და გასავითარებელი და მხოლოდ მაშინ, როდესაც პირვანდელ დონეს მივაღწევთ, ყველა წევრი მივა დასკვნამდე, რომ ეს სტრუქტურა ისევ კარგად ფუნქციონირებს და ალბათ მისი კიდევ ერთხელ გაფართოების საკითხიც დადგება.

რამდენიმე სიტყვას ევროკავშირის კონსტიტუციაზეც გეტყვით. მიღების შემთხვევაში ევროკავშირის კონსტიტუცია იქნებოდა ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან საკითხს დაარეგულირებდა, მაგრამ ეს არ მოხდა მრავალი ქვეყნის მიერ გამოხატული უარყოფითი პოზიციის გამო. მიუხედავად იმისა, რომ არც სამომავლო პერსპექტივა გამოიყურება კარგად, მაინც შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მრავალი გზა, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტრუქტურებთან დაახლოებას. მომავალ წელს, როდესაც ჩვენ ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გავხდებით, გერმანია ყველანაირად შეეცდება, მოძებნოს შემდგომი გზები კანდიდატი ქვეყნების დაახლოებისთვის. ჩვენ ვიზრუნებთ იმაზეც, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყოს კონკრეტულ რეგიონზე, მაგალითად, ის, რაც მარკოსთვის მისაღები და გამოსადეგია, საქართველოსთვის მიუღებელი იქნება.

- სანკტ-პეტერბურგში "დიდი რვიანის" სამიტზე ერთ-ერთ საკითხად პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების რეგულირებაც წამოიჭრა. გერმანიას, როგორც ევროკავშირის მომავალ თავმდჯომარეს, აქვს თუ არა რამე გეგმა კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში ევროკავშირის როლის გაზრდასთან დაკავშირებით?

- ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით ევროკავშირს ძალიან დიდი როლი ეკისრება, რადგან საქართველო ევროკავშირის მეზობელი ქვეყანაა. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში ბევრი აქტორია ჩართული. მაგალითად გამოდგებოდა გაერო ან და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის რეგულირების საკითხში ძალიან აქტიურია; ან ავიღოთ სამხრეთი ოსეთი, სადაც დამკვირვებლის როლში ეუთო-ს წარმომადგენლები გვევლინებიან. ამიტომ საკითხი იმას კი არ უნდა შეეხებოდეს, დავუშვებთ თუ არა ევროკავშირის როლის გაზრდას ამ კონფლიქტების მოგვარებაში, არამედ საკითხი შემდეგნაირად უნდა დაისვას - სად შეიძლება უფრო ქმედითი იყოს ევროკავშირი, რა საკითხების მოგვარებაში, რომელშიც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არ არიან ჩართულნი. მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ადრე ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია არსებობდა, რომელსაც მანდატი თავად ეუთო-მ აღარ გაუგრძელა. თუმცა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ საკითხებზე დაკვირვება მაინც ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო საქართველოსთვის ხელშეწყობა აუცილებელი აღმოჩნდა, საზღვრის მონიტორინგის იდეა ევროკავშირის მხრიდან წინა პლანზე დადგა. მას შემდეგ საქართველოში არსებობს საზღვრების მონიტორინგის ევროკავშირის მისია. ყველა საკითხთან დაკავშირებით საჭიროა, რომ საუბრები გავმართო როგორც საქართველოს ხელისუფლებასთან, ასევე კონფლიქტში მონაწილე სხვა მხარეებთან, აგრეთვე სხვადასხვა მისიებთან. თუმცა, ევროკავშირს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია, რომ გაერო ან ეუთო ჩაანაცვლოს ან შეცვალოს.

- საქართველოში არსებული კონფლიქტების ზონებში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა რუსეთის სამშვიდობო ძალებია და საქართველო აქტიურად ცდილობს სამშვიდობო ფორმატის შეცვლას. ცოტა ხნის წინ აშშ-მ მხარი დაუჭირა აფხაზეთში საერთაშორისო საპოლიციო ძალების განლაგებას. როგორია ამასთან დაკავშირებით გერმანიის დამოკიდებულება?

- თქვენთვის ცნობილია, რომ გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარებაა. კრიმინოგენული ვითარების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებები კი პოლიციას უფრო გააჩნია, ვიდრე სხვა მისიებს. თქვენთვის ცნობილია, რომ არსებობს ე.წ. ფაქტების დამდგენი კომისია, რომელიც შეისწავლის რეგიონში ვითარებას და დასახავს გარკვეულ ღონისძიებებს მის გასაუმჯობესებლად. თანაც, ძალიან კარგი იქნება, თუ ფაქტების დამდგენი კომისია, რაც შეიძლება მალე ჩაერთვება ამ საქმეში და გაემგზავრება აფხაზეთში. სამშვიდობო ძალების ძირითადი ფუნქცია კონფლიქტში ჩართული მხარეების ერთიმეორესგან დისტანცირებული ყოლაა, მათ არ უნდა დაუშვან ახალი შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება. ამისგან განსხვავდება, სწორედ, ის პოლიტიკური მისია - კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტისა, რომელიც სამშვიდობო მანდატის ფარგლებში არ ექცევა - ეს პოლიტიკოსების საქმეა. მეორე მხრივ, საჭიროა საჯარო წესრიგის დაცვა, რაც უპირველეს ყოვლისა, პოლიციის მთავარი ფუნქციაა. თქვენთვის ცნობილია, რომ გალში უფრო მეტად კრიმინოგენული ვითარებაა, ამიტომ პოლიციის არსებობა აუცილებელია, რათა მან ეს ვითარება დაარეგულიროს.

- ამას წინათ ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო პროექტ "ნაბუკო"-ს განხორციელება, რომელიც კავკასიიდან ევროპისკენ ახალი გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს. ამავე დროს, ცნობილია, რომ გერმანია ერთობლივ პროექტებს ახორციელებს რუსეთთან გაზის მიწოდების ახალი მარშრუტების შესაქმნელად. რა უნდა გაკეთდეს მომავალში ევროპისა და მეზობელი სივრცის ენერგეტიკული უსაფრთხოების გასამტკიცებლად და რა როლი ეკისრება საქართველოს?

- პირველი საზრუნავი ის არის, რომ არ იყოს ქვეყანა დამოკიდებული ენერგომომარაგების ერთ წყაროზე. ვფიქრობ, რომ ამ აზრს საქართველოში ყველა დაეთანხმება. მთავარია, დივერსიფიკაციის პრობლემა გადაწყდეს, ანუ ენერგომომარაგების რამდენიმე წყარო გამოიძებნოს, როგორც ნედლეულის თვალსაზრისით - იქნება ეს ბუნებრივი გაზი, ნავთობი თუ სხვა, ასევე მოწოდების სხვადასხვა წყაროს სახით. მაგალითად, ენერგომომარაგებაში ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო ჰიდროელექტროსადგურებიცაა. ასევე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიმაჩნია, ენერგორესურსების მომჭირნეობით ხარჯვის პროგრამაზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ, ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ენერგორესურსების მომჭირნეობით გამოყენების საშუალებას მოგცემდათ. გარდა ამისა, უნდა გადაწყდეს განმეორებადი რესურსების საკითხიც, ვგულისხმობ, ვითარებას, როდესაც თავად ბუნებრივი რესურსების კლება იქნება შესამჩნევი.

საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი აქვს, ვინაიდან ის ენერგომომარაგებლებს მის პირველ მომხმარებლებთან აკავშირებს, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

- დიპლომატიური სამსახურის დაწყებამდე თქვენ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდით. რამდენად ღირებული აღმოჩნდა თქვენს ახლანდელ საქმიანობაში ჟურნალისტური გამოცდილება?

- მე პირადად, ეს ძალიან გამომადგა. ჟურნალისტურმა გამოცდილებამ, პირველ რიგში, საკუთარი აზრების ნათლად გამოხატვის კარგი პრაქტიკა მომცა. ნებისმიერმა მსმენელმა გაიგოს შენ მიერ გამოთქმული წინადადების შინაარსი - ეს არის საუკეთესო გზა არამხოლოდ დიპლომატიურ დონეზე ურთიერთობებში, არამედ სხვა ნებისმიერ დონეზეც, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ცალკეულ ადამიანებს, სტრუქტურებს თუ ქვეყნებს შორის. ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მცნება კი ჟურნალისტური საქმიანობისთვის შემდეგია: ინფორმაციის გამოქვეყნების უფლება საკუთარი წყაროების გადამოწმების შემდეგ გაქვს. ეს კი, ვფიქრობ, ჩემს ამჟამინდელ პროფესიაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, კერძოდ, არ ვირწმუნო პირველი სიტყვიდან ყველაფერი, რაც ჩემს ყურს ჩასწვდება, არამედ ჯერ გადავამოწმო, ვნახო, გავაანალიზო და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღო გარკვეული გადაწყვეტილება. და ბოლოს, ჩემი ჟურნალისტური გამოცდილება მეხმარება იმაშიც, რომ დიდი სიამოვნებით ვხვდები ჟურნალისტებს და მათთან ურთიერთობაში კომპლექსები არ გამაჩნია.

ინვესტორისათვის განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭებას კანონდარღვევად მიიჩნევენ

მთავრობის ახალ ინიციატივას, რომელიც 8 მილიონის ინვესტიციის შემომტანი ინვესტორისათვის განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭებას გულისხმობს, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში" უარყოფითად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ კანონპროექტში ასახული მუხლები და მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება.

"პროექტის მიხედვით, გარკვეული ტიპის ინვესტიციების ლობირებასთან გვაქვს საქმე, რასაც ეკონომიკა ხშირად არასასურველ მდგომარეობამდე მიჰყავს. კანონის მოქმედება სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინვესტიციებზე ვრცელდება, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა სახის ინვესტიციებზე, რომელიც ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს უკავშირდება," - განაცხადა "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, გაუგებარია, რომელ სტრატეგიულ ობიექტებზეა საუბარი და რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩეს ისინი.

"რომელიმე ობიექტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის კატეგორიის მინიჭება მას უკეთეს პირობებს უქმნის და კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს, რითაც "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონი ირღვევა," - აცხადებს ნარმანია.

კანონპროექტის მიხედვით, განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მატარებელ ინვესტორს უფლება ეძლევა, პრეზიდენტს უფუნქციოდ დარჩენილი მიწის ნაკვეთის ან ობიექტის გადაცემა მოსთხოვოს.

ნარმანიას მტკიცებით, ეს უკანასკნელი საქართველოს კონსტიტუციასთან და "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონთან წინააღმდეგობაში მოდის.

"რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს პრეზიდენტის უხეშ ჩარევას თვითმმართველობის ექსკლუზიურ კომპეტენციაში, როგორიც არის საკუთარი ქონების ფლობა და განკარგვა," - აცხადებს დავით ნარმანია.

შეგახსენებთ, საუბარია მთავრობის მიერ მომზადებულ ახალ კანონპროექტზე "განსაკუთრებული ინვესტიციების შესახებ", რომელიც პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად სულ მალე გადაეგზავნება.

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი საბაჟო ტარიფები ძალაში შედის

პირველი გვერდიდან

რა გზით მოხდება ამ ამოცანების შესრულება? საბაჟო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ საბაჟო პროცედურების გამარტივება განსაზღვრული წესების დამკვიდრებით მოხდება. ესაა ერთი ფანჯრის პრინციპი; მკაცრად რეგლამენტირებული საბაჟო გაფორმების ვადა; ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დროს წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხის შემცირება; ლიცენზიის გაუქმება;

ხელისუფლება ეკონომიკის რეგულირების ყველა სფეროში ცდილობს, ერთი ფანჯრის პრინციპი დანერგოს. ვიზუალურად ეს არის ერთი დიდი დარბაზი, სადაც სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები ერთ კერძო პირს ემსახურებიან. საბაჟოს შემთხვევაში ერთი ფანჯრის პრინციპის მთავარი ხიბლი ის არის, რომ ექსპორტიორი ან იმპორტიორი კომპანიის წარმომადგენელს დოკუმენტების გაფორმების დროს ერთსა და იმავე მებაჟესთან ურთიერთობა აღარ მოუწევს, ეს კი კორუფციულ გარიგებას გამორიცხავს. თუ როგორ მოხდება ეს პრაქტიკულად, ეს კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ამასთან, საგულისხმოა, რომ რამდენიმე ათეული განაკვეთის ნაცვლად იმპორტიორებს მხოლოდ სამი - 12, 5 და 0-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის გადახდა მოუხდებათ. საბაჟო გადასახადი

საბაჟო ტარიფების შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე.

ფოტო ლელა ფოფხაძის

მთლიანად განულდება პროდუქციის უმრავლესობაზე, მათ შორის - მანქანა-დანადგარებზე, ხეტყეზე, ყავასა და საფუარზე, რძის ფხვნილზე, კაკაოზე, ცოცხალ თევზზე, ხეებსა და სხვა მცენარეებზე, ყველა სახის თესლზე და სათესლე მასალაზე, ფოტო და კინოსაქონელზე, აბრეშუმის, ბამბისა და მატყლის ქსოვილის ნედლეულზე, დაუმუშავებელ ტყავზე, ნატურალურ და ხელოვნურ ბეწვზე, იარაღსა და საბრძოლო მასალებზე, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ყველა სახის საათებზე, სათამაშოებზე და სპორტულ ინვენტარზე.

საბაჟო ტარიფი უნდა გაუქმებულიყო ხორბლის ფქვილსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე (ჩაი, ხილის წვენები), მაგრამ ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია ადგილობრივ მეწარმეთა და დეპუტატთა ერთ ნაწილს (რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ იმპორტზე გადასახადის გაუქმება აგრარულ სექტორს მძიმე დარტყმას მიაყენებს) და 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადი დროებით დატოვა.

12 და 5-პროცენტიანი განაკვეთი წლის ბოლომდე დარჩება სამშენებლო მასალებსა და ზოგიერთი სახის მზა პროდუქტზეც. შემდეგ ეს ტარიფები ეტაპობრივად შემცირდება, 2007 წლის იანვრიდან 12-პროცენტიანი განაკვეთი 5 პროცენტამდე დაიწევს, 5-პროცენტიანი უცვლელი დარჩება, ხოლო 2008 წლიდან 5-პროცენტიანი განაკვეთიც განულდება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახალი შემცირებული საბაჟო განაკვეთები ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის ევროპული საქონლის შემოტანას, რონელიც დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ნედლეულს ჩაენაცვლება. მოსალოდნელია, რომ ახალი ტარიფების ამოქმედების შემდეგ ქართული სამეწარმეო ინტერესები ევროპის ბაზარზე გადაინაცვლებს და ამ ურთიერთობას 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადის სახით ზედმეტი ხარჯი მოეხსნება.

საქართველოს, უკვე დიდი ხანია, რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან და დსთ-ს ბევრ სხვა ქვეყანასთან ნულოვანი სავაჭრო რეჟიმი აქვს, ხოლო ევროპიდან შემოტანილი პროდუქტი აქამდე 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრებოდა.

საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის დაბალი აქტიურობა სეზონური ფაქტორით აიხსნება

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გასულ კვირაში 114 გარიგება განხორციელდა. გარიგებები შედგა 7 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციებზე. სულ ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ 116093.97 ლარი შეადგინა, რომლის შედეგადაც 70561 აქცია გასხვისდა.

ბირჟის ანალიტიკოსების ინფორმაციით, რაიმე არსებით გადანაწილებას ადგილი არ ჰქონია. მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი - გასხვისდა სს "ნინო"-ს (სამკერვალო ფაბრიკა ნინოშვილის ქუჩაზე) აქციის 8,228%. ამასთანავე, გასხვისდა ამ საწარმოს 15%-ზე მეტი. აღნიშნული პაკეტი 20000 ლარად გაიყიდა, რაც, როგორც ბირჟის სპეციალისტები აცხადებენ, ძალიან შორსაა ამ საწარმოსა და მის კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეალური ღირებულებისგან.

"ამ გარიგებით გამოდის, რომ აქციათა 100% ღირს 100 000 ლარი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქ. თბილისში, ნინოშვილის და მაზნიაშვილის ქუჩის კვეთაზე მდებარე ეს ობიექტი და არანაკლებ ღირებული შენობა 100 000 ლარი ღირს," - აცხადებენ ბირჟის წამყვანი სპეციალისტები.

ბირჟაზე ვაჭრობის გასული კვირის შედეგების შეფასებისას ბირჟის ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ვაჭრობის მიმდინარეობისას აქტიურობა დაბალია. ვაჭრობის ინტენსივობის შესუსტება სეზონურ ფაქტორს უკავშირდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა 7-8 თვის განმავლობაში იგეგმება

საქართველოს მთავრობა ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის დადგენილების პროექტს განიხილავს.

როგორც სააქციო საზოგადოება "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, აღნიშნული სარკინიგზო მონაკვეთი, 10 წელია, უმოქმედოდ არის. მისი აღდგენა 7-8 თვის განმავლობაშია გათვალისწინებული.

ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მონაკვეთის სიგრძე 42 კილომეტრია, მისი აღდგენის პროექტის ღირებულება კი 10 მილიონი ლარია.

ეზუგბაიას განცხადებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაწყებულია.

ჯი-ეიჩ-ენი

ფულადი გზავნილების მხრივ საქართველო დსთ-ს ქვეყნებში ბოლოდან მეორე ადგილზეა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, დსთ-ს ქვეყნების ფულადი გზავნილების 7,3 პროცენტი საქართველოზე მოდის.

სტატისტიკური მონაცემებით, ფიზიკურ პირთა ფულადი გზავნილები 2006 წლის მეორე კვარტალში, პირველ კვარტალთან შედარებით, 58 პროცენტით გაიზარდა და 1,290 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთის ფედერაციის ფულადი გზავნილები 22 პროცენტით ანუ 0,331 მილიარდამდე გაიზარდა.

ფულადი გზავნილების უარყოფითი სალდო მეორე კვარტალში 76 პროცენტით გაიზარდა და 0,959 მილიარდი შეადგინა.

გზავნილების სტრუქტურაში დსთ-ს ქვეყნებიდან 90 პროცენტი ანუ 1,162 მილიარდი მეორე კვარტალში რუსეთზე მოდის. მას ჩამორჩებიან უზბეკეთი და უკრაინა (თითოეული 16,3 პროცენტით, ანუ 210 მილიონით), ტაჯიკეთი (14,5 პროცენტით ანუ 187 მილიონით), სომხეთი (10 პროცენტით ანუ 129 მილიონით), მოლდოვა (8,9 პროცენტით ანუ 115 მილიონით), ყირგიზეთი (7,9 პროცენტით ანუ 102 მილიონით), აზერბაიჯანი (7,3 პროცენტით ანუ 94 მილიონით) და ყაზახეთი (1,7 პროცენტით ანუ 22 მილიონით).

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოს მთავრობა მომავალი წლისთვის 80-85 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავს

2007 წლისთვის საქართველოს მთავრობა უმუშევრობის მაჩვენებლის ორჯერ შემცირებასა და 80-85 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა.

მისი თქმით, მომავალი წლიდან ახალი ეკონომიკური პროექტების რეალიზება დაიწყება, რაც სამუშაო ადგილების შექმნასა და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილების ზრდას განაპირობებს. პრემიერის განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილის ახალმა ეკონომიკურმა ინიციატივამ სამშენებლო და მომსახურების სფეროს წარმომადგენლებში დიდი ინტერესი გამოიწვია, თავად ნოღაიდელი კი, მისივე თქმით, უახლოეს მომავალში დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით ეკონომიკის სხვა სფეროების წარმომადგენლებსაც შეხვდება.

ჯი-ეიჩ-ენი

სტრუქტურული ცვლილებები ენერგოსექტორში

1 სექტემბრამდე ენერგოსექტორში სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით, არსებული მოდელით ფუნქციონირებას შეწყვეტს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სესბ), რომელიც პირველი ივლისიდან რეორგანიზაციის რეჟიმში მუშაობს. მის ნაცვლად 1 სექტემბრიდან სააქციო საზოგადოების სახით კომერციული ოპერატორი ჩამოყალიბდება, რომლის აქციებიც საბითუმო ბაზრის ამჟამინდელ წევრებზე გადანაწილდება.

"სექტორში, სადაც ელექტროენერგიის წარმოებისა და მომსახურების ყველა ეტაპზე ტარიფები ფიქსირებულია, ყოველი არგადახდა შესაბამისად ტარიფით გათვალისწინებული ხარჯების დაუფინანსებლობას იწვევს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე მოხერხდა ვალის ზრდის ტემპის საგრძნობი შემცირება. მიუხედავად ამისა, ვალის ზრდის არსებული მაჩვენებლები კვლავ მიუღებელია და საჭიროებს მკვეთრ გაუმჯობესებას. არსებული დავალიანების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მდგომარეობის გამოსწორება მსხვილი გამანაწილებელი კომპანიებისა და აფხაზეთის გადახდის მაჩვენებლების გაზრდაზეა დამოკიდებული," - ვკითხულობთ სესბ-ის ანგარიშში.

სესბ-ის მიმართ ყველაზე დიდი დავალიანება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დაუგროვდა - 355.4 მილიონი ლარი. აფხაზეთის ვალი - 226.5 მილიონი ლარია, "აჭარის ენერგოკომპანიის" ვალი - 56.5 მილიონი, "კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ვალი - 16.9 მილიონი ლარი, "თელასის" ვალი - 7,5 მილიონი ლარი, პირდაპირი კონტრაქტორების ვალი - 44.5 მილიონი ლარი, სხვა დანარჩენი მევალეების დავალიანება კი 2,4 მილიონ ლარს შეადგენს.

ახალი ორგანიზაცია, სესბ-თან შედარებით, სრულიად განსხვავებულ ფორმას და ფუნქციებს შეიძენს. საქართველოს ენერგოსისტემაში ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა მხოლოდ პირდაპირი ხელშეკრულებებით დარეგულირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამანაწილებელი ენერგოკომპანიები საკუთარი მოხმარების დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიას თავად შეისყიდიან. ამ მიზნით გაიმართება ვაჭრობები, რაც აგრეთვე სიახლეა და დადებით ფაქტორად ითვლება.

ოპერატორს ექნება საბალანსო და სარეზერვო სიმძლავრეები და თუ რომელიმე ენერგოკომპანიას ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ სიმძლავრეზე მეტი რესურსი დასჭირდება, მაშინ ამ დანაკლისს იგი სისტემის კომერციული ოპერატორისგან შეივსებს.

შესაბამისი დადგენილების თანახმად, 1 სექტემბრამდე სემეკ-მა სისტემის კომერციულ ოპერატორს მომსახურების ტარიფი უნდა დაუდგინოს. თუმცა, კომისიას ეს საკითხი შეტანილი 31 აგვისტოსთვის დაგეგმილი სხდომის დღის წესრიგში არ აქვს.

პარალელურად, უნდა გაუქმდეს ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი და ყველა ლიცენზიანტს საკუთარი, ინდივიდუალური ტარიფი განესაზღვროს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ცვლილებები სამომხმარებლო ტარიფზე გავლენას არ იქონიებს.

24 საათი

ახალი საგადასახადო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების ზოგად გეგმაზე მუშაობა დასრულდა

ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა ახალი საგადასახადო ადმინისტრაციის საინფორმაციო სისტემის გაერთიანების გეგმა შეიმუშავა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, გეგმას მიეცა ზოგადი სახე და დაიწყო მისი დეტალური დამუშავება. 1 სექტემბრამდე უწყებები გაერთიანებასთან დაკავშირებით საკუთარ წინადადებებს წარმოადგენენ, ხოლო 10 სექტემბრიდან, გაერთიანებასთან დაკავშირებით, დაიწყება ვევაში, დავალიანების ფაქტორი ახალი ოპერატორის ჩამოყალიბების პროცესზე ნეგატიურად აისახება.

ბოლო პერიოდში, ხსენებული პრობლემის დარეგულირების მიზნით, სესბ-ის მიერ სათანადო სამუშაო ჩატარდა. ბაზრის წევრთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა "ს" და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი "დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სესბ-ის წევრებზე ურთიერთგანაწილების შესახებ".

სტრატეგიის დოკუმენტაციის შემუშავება, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება სამი სტრუქტურის - ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების რეფორმირება და გაერთიანება.

აღნიშნულის განხორციელება ევალება ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში არიან ფინანსთა მინისტრის მოადგილეები - ლაშა გოცირიძე და მალხაზ ბეგიაშვილი, სამივე უწყების ხელმძღვანელები - დავით კეზერაშვილი, კახა ბაინდურაშვილი და ზურაბ ანთელიძე, და სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. მათ მიერ შემუშავებული სტრატეგია განსახილველად პრეზიდენტს და მთავრობას წარედგინება.

ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების გაერთიანება რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს. მათ ნაცვლად ახალი წლიდან მუშაობა ახალმა საგადასახადო ადმინისტრაციამ უნდა დაიწყოს. რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის თანამშრომლობასა და ფინანსური ურთიერთობების დეკრიმინალიზაციას. პარალელურად, გაუმჯობესდება კოორდინაცია უწყებებს შორის, მეწარმეებს კი ურთიერთობა ერთ სამსახურთან ექნებათ.

როგორც ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი აცხადებს, ამ ცვლილებების მიზანი არ არის კადრების ოპტიმიზაცია.

"ჩვენი მიზანია კოორდინირებული მობილიზებული მუშაობა, გადამხდელთა მომსახურებისა და სერვისის გაუმჯობესება, ბიუროკრატიის შემცირება, რათა მეწარმეს გაუადვილდეს ურთიერთობა ქვეყნის ფისკალურ სამსახურთან, ხოლო სახელმწიფოს გაუადვილდეს ადმინისტრირება," - აღნიშნა ალექსიშვილმა.

ახალი სამსახურის ხელმძღვანელად ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მოიაზრება, თუმცა ამ ვერსიას ოფიციალური წყაროები არ ადასტურებენ. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება.

ინტერპრესნიუსი

"ჰიდროსპეცგვირაბმშენი" "ჟინვალჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერებას არ ადასტურებს

კომპანია სს "ჰიდროსპეცგვირაბმშენი" "ჟინვალჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სს "ჰიდროსპეცგვირაბმშენის" აღმასრულებელმა დირექტორმა გოგი გულუამ განუცხადა, სამუშაოები დადგენილი გრაფიკით მიმდინარეობს, ხოლო სამშაბათს გავრცელებული ცნობა, თითქოს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებული მუშები გაიფიცნენ, სინამდვილეს არ შეესაბამება და მას პოლიტიკური ნიადაგი აქვს.

"გუშინ პროვოკაციის აგორება სცადა ერთ-ერთ ცვლაში მომუშავე რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც საამისოდ ერთ-ერთმა მუშამ წააქეზა, რომელიც "ლეიბორისტული პარტიის" წევრია. ამის შესახებ თავად მუშები აცხადებენ. დღეს სამსახურში არ გამოვიდა მხოლოდ სამი ადამიანი, რაც სამუშაოებს ვერ შეაფერხებს," - განაცხადა გულუამ.

მისივე თქმით, სინამდვილეს ასევე არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს მუშებს 16-ლარიანი ანაზღაურება აქვთ. **"მათი ხელფასი 600-დან 1500 ლარამდე მერყეობს. ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულია 260 ადამიანი, აქედან ჩვენს კომპანიას მხოლოდ 70 სპეციალისტი წარმოადგენს. დანარჩენი მუშა-პერსონალი ადგილობრივი მხცოვრებნი არიან,"** - განაცხადა გულუამ. "ჟინვალჰესი" რეაბილიტაციის მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში გაჩერდა და 15 ოქტომბერს უნდა ჩაირთოს. მანამდე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ჰესის გამყვან გვირაბს, რის შედეგადაც გაიზრდება ჰესის საიმედოობა და შემცირდება ავარიების რისკი.

9-კილომეტრიანი გამყვანი გვირაბის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციაზე 6 მილიონი ლარი იხარჯება. აქედან ენერგეტიკის სამინისტროს დაფინანსება 4 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო კომპანიამ "თბილისის წყალი" სამუშაოებზე 2 მილიონ ლარი გამოჰყო. ჰესის გაჩერების შედეგად სისტემას 80 მეგავატი აკლია, თუმცა ეს ქვეყნის ენერგომომარაგებაზე უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს. კომპანია "ჰიდროსპეცგვირაბმშენი" ტენდერის შედეგად შეარჩიეს.

ინტერპრესნიუსი

ერთი დამე, ერთი ლექსი

პირველი გვერდიდან

წიგნი ორენოვანია, ინგლისურად თარგმნილია გალაკტიონ ტაბიძის 25 ლექსი, წიგნის დიზაინი ეკუთვნის ბატონ ვახტანგ რურუას, მისი რედაქტორი ინგლისელი პროფესორი რიჩარდ კარდველი გახლავთ, წიგნი გამოცემულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ბაირონის საზოგადოების ეგიდით. მისი პრეზენტაცია თბილისში ჯერ კიდევ 2005 წლის ნოემბერში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, ხოლო ლონდონში მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ. ინგლისურ ენაზე თარგმნილ გალაკტიონის პოეზიას თავდაპირველად ოლივერ ვორდროპის სახელობის საზოგადოება და საქართველოს ძველი მეგობარი, ყოფილი ელჩი, ბატონი ნეში მასპინძლობდა. უკვე დღეს, თუ გამოხმაურებით ვიმსჯელებთ, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ გალაკტიონის პოეზიამ ინესა მერაბიშვილის თარგმანით დიდი წარმატება დაიმსახურა ახალ და მასშტაბურ კულტურულ სივრცეში, რაც ასევე დიდი წარმატებაა, როგორც ქართული მწერლობის, ისე თავად ჩვენი ქვეყნის კულტურისა. ამ გამარჯვების ავტორი ქალბატონი ინესაა, მაგრამ მისი მუშაობისა და წარმატებული კვლევების შესახებ ასე უბრალოდ ვერ დავსარულებთ წერას. ჩვენი ცნობა ამ საინტერესო მოვლენის შესახებ ისე ვერ დასრულდება, თუ იგი თხრობაში არ გადაიზარდა, რადგანაც ინგლისურ ენაზე დიდი ოსტატობით გადატანა და გალაკტიონის ენისა და ფენომენის ისეთი ცნობა, რომ ის სრულქმნილად წარადგინო უცხო ენაზე, იოლად და უეცრად მოსული მიღწევა ნამდვილად ვერ იქნებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წიგნი 25 ლექსს აერთიანებს. ქალბატონმა ინესამ მისი გამოცემა "გალაკტიონის ენიგმების" შემდეგ გადაწყვიტა. თუმცა მე ნამდვილად არ ვიქნები ზუსტი და კონკრეტული, თუ ამ იდეის დაბადების ისტორიას ასე მწირი ფორმებით შემოგთავაზებთ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გალაკტიონმა და მასთან ერთად XX საუკუნის მთელმა მსოფლიო პოეზიამ მეცნიერი ქალბატონის ცნობიერებაში ინტერესი დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ საკანდიდატო დისერტაციის დროს დაიმსახურა. თუმცა ქალბატონი ინესას შემთხვევაში საქმე რამდენიმე სამეცნიერო თემითა და ორი სადისერტაციო ნაშრომით არ შემოიფარგლება. მისი კვლევისა და ერთგვარი შემოქმედების მონახაზის გაკეთება ერთ სტატიაში რთულია, თუმცა მარტივადაც შეიძლება ითქვას, ყოველ შემთხვევაში შევეცდებით. რა იყო გალაკტიონამდე? ბევრი რამ, რაც მთავარია, იყო ლორდი ბაირონი, რომ არა ბაირონი, არ თარგმნიდა ტაბიძეს, რომ არა დიდი გალპერინის წინადადება, რომ სადოქტორო ნაშრომისთვის ტექსტის ლინგვისტიკაზე ემუშავა და თანაც პოეტურ ტექსტზე, ის ვერ აღმოაჩენდა სამყაროს სახელად ლორდი ბაირონი, რომ არა ახალგაზრდა მეცნიერის კიდევ რიგი წარმატებებისა, არ დაიწყებოდა დიდი და შემოქმედებითად ბედნიერი გზა.

■ ■ ■

"დავამთავრე უნივერსიტეტი, დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტი და დღიდან სტუდენტობისა, დაკავშირებული ვარ უნივერსიტეტთან, უკვე ოთხი ათეული წელი. ვიყავი მერი ანგოშვილის სტუდენტი. ვაპირებდი მიშა კვესელავასთან მუშაობას, მოხიბლული ვიყავი მისი ერუდიციით და ორიგინალური აზროვნებით, მაგრამ მერი იანქოშვილმა 19 წლიდან მომაქცია ყურადღება, 27 წლისამ გადავეცი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც გახმაურდა არა მარტო აქ, არამედ მოსკოვშიც. ეს იყო "XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული პოეზიის უჩვეულო შესიტყვებების შინაარსობრივი პარამეტრები". ის კვლევა შემდგომში ჩემს პრფესიულ მუშაობას თავისთავად დაედებოდა საფუძვლად, თუმცა მკაფიო გამოხატულება ჰპოვა "გალაკტიონის ენიგმებში." ჩემი დისერტაცია 1977 წელს გადავეცი, ერთი წლის შემდეგ დავიცავი. ამავე დროს გამოვიდა ჩემი სათაყვანებელი მიშა კვესელავას "პოეტური ინტეგრალები", ძალიან ბევრი რამ, რაც იქ ნავიკითხე, ლექციებიდან უკვე ცნობილი იყო ჩემთვის. იგი განიხილავს გალაკტიონის უჩვეულო შესიტყვებებს და მოაქცევს ისეთ კლასში, რომელსაც, მისი თქმით, არ უნდა შეეხო, რადგანაც ვერ ამოხსნი. მისი ეს პოზიცია შევიტანე ჩემს წიგნში ("გალაკტიონის ენიგმები"). ის წერს, რომ "ოიდიპოსიც რომ იყო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოებას მაინც ვერ გახსნი და მთელი მსოფლიოს მთარგმნელები რომ მიესიონ თუნდაც რომელიმე ორადორ

მე გალაკტიონი ბაირონმა მათარგმნინა.

სტრიქონს, თარგმანს კი არა ბწკარედსაც ვერ გააკეთებენო". ეს შეხედულება მიშას წიგნამდეც იყო დამკვიდრებული. მოსაზრება ტრადიციად იქცა, ამას ამბობს ყველა მკვლევარი. იგივე ბესიკ ჯორბენაძეც. მე ვკითხულობდი ყველაფერს, რასაც გალაკტიონზე წერდნენ. იდუმალი და უჩვეულო შესიტყვებები გალაკტიონთან დიდ სიმრავლეს წარმოადგენენ. იდუმალი სტილით მეტყველება, მისი მეტყველებაა, მაგრამ ვხედავდი, რომ ეს სფერო არ იყო შესწავლილი. აქ უნდა დავუბრუნდეთ საკანდიდატო დისერტაციას. რასაკვირველია, მეცნიერებაში როცა შედიხარ, თანდათან შენი სიახლე უნდა გამოკვეთო, ამით არის მუშაობა ღირებული. თემა და ჩემი სიახლე მოიწონეს, რისი დასტურიც იყო ის, რომ ჩემი თემის ოპონენტობა გადაწყვიტა თვით დიდმა გალპერინმა. ამ ფაქტმა გამათამამა, ამას ის მოჰყვა, რომ თავად შემომთავაზა ხელმძღვანელობა სადოქტორო ნაშრომისთვის. მე ჩავედი მოსკოვში და ძალიან მალე დავიწყე მუშობა ახალ თემაზე... მაშინ მითხრა, - შემოგთავაზებ ბაირონს... ბაირონისადმი მქონდა ჩვეულებრივი აღფრთოვანება, მაგრამ შემდეგ, აღმოვაჩინე ისეთი რამ - ბაირონის სამყარო, რომელმაც გამომიყვანა კალაპოტიდან. გასაგებია ბაირონი ხომ თავად გამოდის საუკუნიდან, სცდება რომანტიზმს, თუმცა ის რომანტიკოსია და მოდით ვთქვათ ის, რასაც ამბობენ, - ჩვენ არ ვიცით როგორ განვითარდებოდა ბოლო 200 წლის მანძილზე არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ ხელოვნება, პოლიტიკა, ისტორია, რომ არა ბაირონი. ის არის მსოფლიო ადამიანი, რომელიც გამოწვევას ესვრის პრომეთეს, 10 წელი მას ანსახიერებს და კვდება კაცობრიობისათვის..."

გალპერინს აქვს თეორია, რომლის თანახმადაც ქვეტექსტი სუბიექტურად უნდა განვიხილოთ, ქალბატონი ინესა ამას დაეთანხმა, თუმცა ამ და რიგ სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით წარმოადგინა საკუთარი მიგნებები. მისთვის მთავარი ობიქტური ღერძია და სუბიექტური გადააქვს უკან და თვლის, რომ არაობიექტური, ყველაფერი გაუგებარი დარჩება სუბიექტურის ფარგლებში. ამას გალპერინი დაეთანხმა. სხვა მრავალთან ერთად ამ დროს კვლევაში შეაქვს ხატის ცნება, როგორც ერთ-ერთი პარამეტრი და იკვლევს ხატს ტექსტში, რაც უჩვეულო იყო იმ დროისათვის. მან სიტყვის მნიშვნელობის სამკუთხედიდან, რომელიც შედგება რეფერენტის, ნომინაციისა და ცნებისგან, გააქვს რეფერენტი გარეთ, რადგანაც ის აღარ არის ლინგვისტური, შეაქვს ის, რასაც ფილოსოფიასა და გნოსეოლოგიაში ვერ გავექცევით, - ხატი, რომელიც ნებისმიერი საგნის ხსენებისას გონებაში წარმოიქმნება. ეს ყოველივე უბრალოდ მეცნიერის მშრალ თეორიულ მიღწევებად არ უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც სწორედ ამ ცოდნასა და ამ მეთოდებზე დაყრდნობით იქმნება დღეს გალაკტიონის თარგმანი ინგლისურ ენაზე, რომელმაც სხვა, აქამდე არსებულ თარგმანებთან შედარებით, უცხო ენაში ყველაზე კარგად, ზუსტად გარდასახა პოეტის სამყარო. ქალბატონი ინესა თვლის და მას აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ, რომ გალაკტიონი ხატებით მოაზროვნეა და თუ "ოცნება, ნახაზი საგანთა უარით" ისევ ხატებით არ ითარგმნა და თუ მხოლოდ შინაარსი გადავიტანეთ ცნებებით, გალაკტიონი დაგვეკარგება:

"მივაგენი, რომ გალაკტიონი ხატებით მოაზროვნეა, ბაირონის დროს კონცეპტუალურად აზროვნებდნენ, არ სჭირდებოდათ, ის რომ "სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს", არ არის ეს მათი აზროვნება. ეს XX საუკუნემ მოიტანა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეპოქაშიც კი პოეტი ასეთი აზროვნების მასშტაბით სხვა არ არსებობს. გალაკტიონმა ისეთი ესთეტიკა შექმნა, ქართული ენა ისე მოაქცია ამ პოეტურ, ენიგმურ აზროვნებაში და ისეთ სიღრმეებს მისწვდა, რომ მის პოეზიაში მთელი მსოფლიოს პოეზია და კულტურა აღმოჩნდა გარდატეხილი. ის არის XX საუკუნის კატაკლიზმების წინ, და ის აზაროვნებს უცნაური ხატებით, რადგანაც მოდის XX საუკუნე. აქ არის ტექნოლოგიის დიდი დაწოლა, ამგვარი რამ პირველად განიცადა კაცობრიობამ, ამას მოესწრო გალაკტიონი და ამის მომსწრენი არ არიან ბაირონი, გოეთე, შექსპირი და სხვები. ის ქმნის ახალ ენას და ახალ პოეზიას. მე მხოლოდ ერთი სამკუთხედი გიჩვენეთ, არის დიდი სემანტიკური კვლევა, რომელსაც მე ვეყრდნობი და ბაირონის შემდგომ ვიკვლევ გალაკტიონს."

ბაირონმა ისე გაიტაცა, რომ ლინგვისტიკით ვერ დაკმაყოფილდა, გალპერინის მეთოდი თარგმანში გადაიტანა. ბაირონს თარგმნის, ბაირონოლოგიც ხდება, შემდეგ ღრმად სწავლობს ტექსტის თარგმანის ლინგვისტიკას და ამავდროულად არაერთი სამეცნიერო კვლევის, ნაშრომისა და თარგმანის ავტორად გვევლინება.

ინესა მერაბიშვილმა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტის დოქტორი და პროფესორია, რომელმაც 15 წლის წინ უცხო ენებისა და თარგმანის კათედრა დააარსა, 1988 წელს თბილისში შექმნა ბაირონის საზოგადოება. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ეს უკანასკნელი პირველი საზოგადოებაა, რომელმაც ხიდი გადო ევროპასთან. ეს წელი მნიშვნელოვანი თარიღია მეცნიერი ქალბატონის კარიერაში, რადგანაც აქედან იწყება მისი პირველი წარმატებები საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და პირველი აღიარება თანამედროვე დასავლელი მეცნიერების ფართო წრეში. ამ წელს უნივერსიტეტში მასშტაბურად აღნიშნავენ ბაირონის 200 წლისთავს, რის შემდეგაც ქალბატონი ინესა უკავშირდება ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც მას კონფერენციაზე - "ბაირონი და აღმოსავლეთი" ეპატიჟება. ინესა მერაბიშვილი ამ კონფერენციაზე წარდგება და წაიკითხავს თემას "ბაირონი და საქართველო", შეეხება საკითხებს, რომელიც აქამდე თითქმის არ ყოფილა მოკვლეული: როგორი გავლენები განიცადეს ქართველმა მწერლებმა, საქართველო ბაირონის ტექსტებში და ა.შ.

მას შემდეგ იყო არაერთი მოხსენება ევროპასა და აშშ-ში, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება და გამოხმაურება დაიმსახურეს, თუმცა ეს, პირველი, ქალბატონი ინესასთვის შეუცვლელი დარჩა: "მაშინ შევხვდი ყველა დიდ ბაირონოლოგს, მაშინ შევხვდი თანამედროვე ლორდ ბაირონს და მეცნიერებს, რომელთა ნაშრომებსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან ვეცნობოდი და ვეტრფოდი."

1991 წლის შემდეგ იყო რამდენიმე სერიოზული გამოსვლა, რომელთა მეშვეობითაც საკუთარი სამეცნიერო მოგონებები საზღვარგარეთ გაიტანა. ამ პერიოდში მისი მეგობარ-კოლეგათა სივრცე მრავალრიცხოვანია. ინესა მერაბიშვილს მათ შორის არაერთი თანამოაზრე გამოუჩნდა, სწორედ მათგან 1994 წელს მიიღო შემოთავაზება, რომლის თანახმადაც ბაირონის საერთაშორისო საზოგადოება მას ინგლისში მუშაობას, კვლევასა და, შესაბამისად, იქ ცხოვრებას სთავაზობდა. თავისთავად ცხადია ადრესატი დასთანხმდა და სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ქალბატონი ინესას ცნობილი აღმოჩენა, რომლის შესახებაც ქართულ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რადგანაც უკვე ბევრი ითქვა და არაერთი სტატიაც მიეძღვნა იმ ფაქტს, რომ ბაირონის ტრფობის ერთ-ერთი ობიექტი - თინრზა აღმოსავლეთიდან სწორედ ის ქართველი მონა გახლდათ, რომელიც ბაირონმა გამოისყიდა, თუმცა მისი სამშობლოში დაბრუნება ვერ მოახერხა. მერაბიშვილმა ბაირონის ბიოგრაფიის რამდენიმე გაფანტულ მოვლენაში საერთო ხაზი დაინახა და ეს მიგნება ავტორმა ინგლისსაც გააცნო. სწორედ მაშინ ინესა მერაბიშვილი თავად ელმა დეინჯერფილდის სტუმარი გახა, ქალბატონისა, რომელმაც ჯერ ევროატლანტიკური ჯგუფი, შემდეგ კი ბაირონის საზოგადოება ჩამოაყალიბა და ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, როგორც დიდი ბრიტანეთის პოლიტიკაში, ასევე თანამედროვე მეცნიერებაში.

"მას შემდეგ მთხოვეს ჩავრთულიყავი დიდი კოლექტიური ხასიათის მონოგრაფიათა სერიაში, რომელიც მიზნად ისახავს ვრცელი ინფორმაცია და მასალა გადასცეს საზოგადოებას, ყველაფერი ყველა დიდ ინგლისელზე, კონკრეტულად კი ის, თუ როგორ აღიქვა ისინი ევროპამ. ეს იქნება ბეკონი, ჯოისი, ნიუტონი ვირჯინია ვულფი, მოკლედ ყველა. პირველ სამეულში მოექცა ბაირონი. მას ორი ტომი დაეთმო, ისე როგორც ჯოისს. ამ ორტომეულში ჩემი კვლევების გამოქვეყნება მთხოვეს. როცა ჩავერთე, ბაირონის შესახებ ოცამდე ნაშრომი იყო უკვე დამუშავებული და არც ერთში არ იყო ნახსენები საქართველო, ამიტომაც ეს თემა შევარჩიე. დავწერე ბარათაშვილზე, ჭავჭავაძეზე, ორბელიანზე, ილიასა და აკაკიზე და სხვათა შესახებ, თუ როგორ აღიქვეს ქართველმა მწერლებმა ბაირონი. მაგრამ გალაკტიონში ვაჩვენე, რომ ბაირონისგან წამოსული ევროპული სახე მერისა, რომელიც გადმოდის პუშკინის, ლერმონტოვისა და ბლოკის შემოქმედებაში, გალაკტიონთან ისეთ ევოლუციას განიცდის, რომ ღვთისმშობლის სახემდე ადის. მერი ბაირონის დიდი სახეა, რომელიც გალაკტიონმა სულ სხვა განზომილებაში გადაიტანა, მაგრამ ეს დამალეს, ისე, როგორც დაამახინჯეს მისი ფრაზები, შეცვალეს თარიღები და ა.შ. აქ მე ვაჩვენე, რომ გალაკტიონი ბაირონზე მაღლა წავიდა და სტატიას დავარქვი "თავისუფლება და ქართველი ბაირონი", მაგრამ უკეთესი მოხდა, მე დავანახე მათ ბარათაშვილი და კიდევ არაერთი ქართველი რომანტიკოსი პოეტი.

ამ ყველაფერმა შედეგად ის გამოიღო, რომ ბაირონის ტომების, რომლებიც ჩამომივიდა, რედაქტორის შესავალ ტექსტში ვკითხულობთ ევროპელი რომანტიკოსების ჩამონათვალს, სადაც მოქცეულნი არიან ქართველი რომანტიკოსი პოეტებიც."

ბაირონის შესახებ გამოსული ორტომეულის რედაქტორი რიჩარდ კარდველი გახლდათ. მან ქალბატონ ინესასთან ურთიერთობა ამ გამოცემის დასრულების შემდგომაც გააგრძელა, სწორედ მისმა ინტერესმა ქართული ლიტერატურისადმი გამოიწვია ის, რომ უკვე თარგმნილ გალაკტიონის 10 ლექსს, ქალბატონმა ინესამ კიდევ რამდენიმე დაუმატა. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილმა თარგმანებმა ინგლისელი პროფესორი მოხიბლა და ქართველი კოლეგაც ამ თარგმანების გამოცემის იდეით გააქეზა.

"დიდი ინტერესით გავეცანი გალაკტიონის პოეზიის თარგმანებს, რომელიც პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა შემოგვთავაზა, ლექსების თარგმანი ქართულიდან ინგლისურად გაწაფული და ფაქიზი ხელითაა შესრულებული. ინესა მერაბიშვილმა წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, ხოლო დედნისეული ტექსტის რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ ამ თარგმანში მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას, ეს პროფესორის, როგორც მთარგმნელის, ოსტატობის მაჩვენებელია.

იმდენად, რამდენადაც ქართველი პოეტები - ერისთავი, ჭავჭავაძეები, გალაკტიონი და ა.შ. - ძალიან ნაკლებად არიან ცნობილი ინგლისურად მოსაუბრე სამყაროსთვის, პროფესორმა მერაბიშვილმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას იმით, რომ ერის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ხელმისაწვდომი გახადა ინგლისელი მკითხველისთვის." - წერს პროფესორი კარდველი წიგნის წინასიტყვაობად.

"მან მითხრა, რომ - შენს გალაკტიონს დიდ საქმეს გაუკეთებ, თუ მის პოეზიას ინგლისურ ენაზე ლონდონში გამოვცემთო, თან წიგნის რედაქტორობაც შემომთავაზა.

აქამდე ერთ-ერთ ინგლისელ მთარგმნელს ჰქონია შეხება გალაკტიონთან, თუმცა ის ინგლისელი იყო და, კარდველის აღნიშვნით, მან გალაკტიონის ბოლომდე გაგება ვერ შეძლო. წარმატებულ თარგმანს საფუძვლად, რა თქმა უნდა, ის კვლევა დაედო. კარდველს ვთხოვე, რომ ჯერ თბილისში გამოგვეცა, დამთანხმდა და 25 ლექსი შევკარი და ორენოვანი გამოცემა დღეს როგორც საქართველოში, ისე ინგლისში იყიდება..."

და მაინც, **"მე გალაკტიონი ბაირონმა მათარგმნინა. მან მოაქცია პოეზიის დიდ სამყაროში."** ისე კი, გალაკტიონის ლექსების თარგმნა ქალბატონმა ინესამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ერთ მშვენიერ დღეს გალაკტიონის შვილობილი, ქალბატონი ნუნუ ებანოიძე ესტუმრა, რომელმაც პოეტის სხვა ნივთებთან ერთად მისი ხელნაწერებიც აჩუქა, წაიკითხა ერთ-ერთი და გადავწყვიტა.

ქალბატონი ინესას ბიოგრაფიაში ზემოთ აღნიშნულის გარდა კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დაგვრჩა, მაგალითად ის, რომ 2004 წელს, ამერიკის ბიოგრაფიის საერთაშორისო ცენტრმა იგი საერთაშორისო ქალბატონის ნომინაციაში დაასახელა, კიდევ ის, რომ 2005 წელს, მაშინ როცა პროფესორმა მერაბიშვილმა ორი წიგნი: "პოეტური თარგმანების ლინგვისტიკა" და "თარგმანი - კულტურათა დიალოგი" გამოსცა, საერთაშორისო ელჩის ორდენით დაჯილდოვდა და "მისი აღმატებულების" ტიტულოსანი, ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების დირექტორატის წევრი, ნოთინგემის საგრაფოსა და ლორდთა პალატის მიღებათა საგანგებო სტუმარი ხდება.

ჩვენი შეხვედრა ქალბატონ ინესასთან თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. დიახ, ეს არ იყო შეხვედრა. ეს იყო რაღაც ლამაზი და საინტერესო ურთიერთობის დასაწყისი, ამიტომაც მე ნამდვილად ვერ შევძელი სრულად მომეთხრო მკითხველისთვის ყველა ის საინტერესო ამბავი და ისტორია, რომელიც ჩემი მასპინძლის ერთობ ლამაზსა და მყუდრო სახლში მოვისმინე. რაღაცები გამომრჩა, მაგრამ მთავარი, რისი თქმაც მსურდა, კარგად მახსოვს: ინესა მერაბიშვილი მთელი თავისი საქმიანობით, არაერთი ამოცანის პარალელურად, ყველაზე დიდ მისიას ემსახურება, მისიას, რომლის ამოსავალი მიზანიც ისაა, რომ ქართული მწერლობის სახით ერთხელ და სამუდამოდ გააცნოს და დაამახსოვროს მთელს მსოფლიოს ქართული კულტურა, ჩვენი კორიფეები და ჩვენი პოეზიის სამყარო, რომელიც ერთდროულად ორიგინალურიცაა და მსოფლიო კულტურის ორგანული ნაწილიც.

რთული აღმოჩნდა დაკისრებული საქმე, მაგრამ მე ხომ ერთი, მაგრამ მეტად მრავლისმომცველი ადამიანის ცხოვრებას მოგითხრობდით, ის კი ამბობს, რომ არაფერია იოლი, მით უფრო ცხოვრება... დღევანდელი დღე ინგლისიდან გამოგზავნილი აღტაცებული რეცენზიებითა და თანამედროვე ევროპელი პოეტების მადლიერების გამომხატველი წერილების კითხვით არ შემოიფარგლება. ქალბატონი ინესა ისევ გალაკტიონს თარგმნის. თარგმანთა რაოდენობა ორმოცდაათს რომ მიაღწევს, ნაშრომი ლონდონს გაიგზავნება და უკვე მხოლოდ ინგლისურენოვანი გამოცემა იქ დაისტამბება. მჯერა, რომ პროფესორის თარგმნელობითი მუშაობა სამომავლოდ მხოლოდ ტაბიძით არ შემოიფარგლება, თუმცა ახლა მხოლოდ გალაკტიონის დროა, ერთი პატარა ღამე - დიდი გალას კიდევ ერთი ლექსი.

აფხაზები გენუის ბიბლიოთეკაში

სეპარატისტულ აფხაზეთში ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელწოდებით "კულტურული ცენტრი - აფხაზეთი-იტალია" გაიხსნა. ამის შესახებ აფხაზურ საზოგადოებას ახალი კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა ასიდა გამისონიამ აცნობა.

ცენტრის ძირითადი მიზანი აფხაზეთსა და იტალიას შორის საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბება და განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ჯანდაცვის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებაა.

გამისონიას ინფორმაციით, "კულტურული ცენტრი - აფხაზეთი-იტალია" უკვე ჩართულია არეცოს სტუდენტთა სკოლისათვის აბიტურიენტთა შერჩევის პროგრამაში. მისივე მონაცემებით, იტალიაში, მათი ცენტრის დახმარებით, სწავლა უკვე ხუთმა აფხაზმა სტუდენტმა დაასრულა. მიმდინარე წელს კი გასაუბრება წარმატებით გაიარა აფხაზეთის "სახელმწიფო" უნივერსიტეტის კიდევ ერთმა მეორე კურსელმა სტუდენტმა, რომელიც სწავლას იტალიაში გააგრძელებს.

ასიდა გამისონიამ დასძინა ისიც, რომ მათი ორგანიზაცია გენუის ბიბლიოთეკაში აფხაზეთის შესახებ პირველწყაროებს ეძებს. ამავე დროს ეს ორგანიზაცია შეიმოგდმაზე სეპარატისტულ აფხაზეთში იტალიური ენის შემსწავლელი კურსების გახსნას აპირებს.

ჯი-ეიჩ-ენი

მონუმენტი "მწუხარების ცრემლი"

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მდინარე ჰუდონის ნაპირზე 11 სექტემბერს მოქანდაკე ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი მონუმენტი "მწუხარების ცრემლი" გაიხსნება.

სკულპტურული კომპოზიცია 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტის მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება. ამ დღეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ცათამბჯენს "ბოინგის" ტიპის 2 თვითმფრინავი შეეჯახა. ტერაქტმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

წერეთლის თქმით, მონუმენტის გახსნის დღე შარშან სექტემბერში ქანდაკების საძირკვლის ჩაყრისას განისაზღვრა. ეს მონუმენტი რუსი ხალხის ამერიკელებისადმი საჩუქარია. ამასვე მოწმობს შავი გრანიტის ფილაზე ამოტვიფრული წარწერაც.

"მწუხარების ცრემლი" ნიუ ჯერსის შტატში, ბეიონ პოინტში აღიმართება. 32-მეტრიანი ბრინჯაოს სტელას კონტურები მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი ცათამბჯენის მოხაზულობას მოგვაგონებს. სტელა გაბზარულია, ბზარიდან კი ცრემლია გადმოკიდული. მონუმენტის კვარცხლბეკზე ტერაქტისას დაღუპული 3 ათასზე მეტი ადამიანის სახელია ამოკვეთილი. მონუმენტი 174 ტონას იწონის.

ზურაბ წერეთლის თქმით, კაცობრიობას ადამიანური ფასეულობებისათვის ბრძოლის უამრავი საშუალება აქვს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი - ბოროტების წინააღმდეგ ხელოვნების საშუალებით ბრძოლაა.

მედიანიუსი

ფოტოგამოფენა "ბრწყინვალე მამაკაცები"

რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოტოხელოვანი, საagენტო "რია ნოვოსტის" ფოტოკორესპონდენტი გალინა კმიტი თბილისს ეწვევა და დამთვალიერებლებს თავისი არქივის საფუძველზე შედგენილ გამოფენას "ბრწყინვალე მამაკაცები" შესთავაზებს. წარმოდგენილი იქნება მსოფლიოში ცნობილი მამაკაცების ფოტოები - პოლიტიკოსები, მსახიობები, სასულიერო პირები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ვითარებაში კმიტის ფოტოობიექტივში მოხვდნენ. ფოტოგამოფენა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის მეათე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, "საჩუქარის" ფარგლებში გაიმართება.

დამთვალიერებელი ფოტოხელოვანის მიერ გადაღებულ საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ფოტოებსაც იხილავს.

უფროსი თაობის წარმომადგენლებისა და განსაკუთრებით ქალბატონებისათვის საინტერესო იქნება მის მიერ გრეგორი პეკის, მარჩელო მასტროიანისა და სხვა პოპულარული მამაკაცებისთვის გადაღებული ფოტოები.

ფესტივალის ფარგლებში ასევე წარმოდგენილიც იქნება რუსეთის ფედერაციის რეჟისორთა გილდიის თავმჯდომარის, აღიარებული რეჟისორის, ანატოლი ვასილევის ფოტომანუშევრების გამოფენა და ასევე გურამ წიბახაშვილის ფოტონამუშევრებიც, რომლის თემატიკას მნიშვნელოვნად განაპირობებს სამყაროს ავტორისეული აღქმა და რომლის ფოტოგრაფიული ხედვა საინტერესო და გამორჩეულია.

ჯი-ეიჩ-ენი

სოხუმის დრამატიული თეატრი

ქუთაისს სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატიული თეატრი ესტუმრება. სოხუმის თეატრის დასი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სპექტაკლებს სამი დღის განმავლობაში წარმოადგენს. გასტროლები 1 სექტემბერს დაიწყება და 3 სექტემბერს, რეჟისორ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული სპექტაკლით - "ზღვა, რომელიც შორია" დასრულდება. გასტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ.

ინტერპრესმიუსი



შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს გარე განათების სისტემების მოწყობის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს შემდეგი საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტი N1 - მახინჯაურის ვაგზლის შენობის გარე განათების მოწყობა

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი, ქავთარაძის №11ა;

4. მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **21 სექტემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ფიზიკური პირისთვის :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს **ერთ ლოტად სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი)

ლოტი 1 სადგური ბორჯომი-სატვირთო ახალი ვაგზლის მშენებლობა

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (ქვითართან ერთად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ მოთხოვნის შესახებ მომართვა), რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის ტექნიკური მასალა განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **22 სექტემბერს** 900 საათიდან 1800 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

3.2. **ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას**

3.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

n ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში

3.4. **არსებული ტექნიკა და კვალიფიკაცია.**

სამუშაოების შესრულებისთვის საჭიროა ტექნიკა და პერსონალის კვალიფიკაცია.

3.5. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და/ან რუსულ ენაზე .

3.6. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს

ეროვნულ ვალუტაში

ყველა პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურდიული პოირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51

სატენდერო კომისია.

1. უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.16-კმ.17 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 31 აგვისტოდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 20 სექტემბრის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 21 სექტემბრის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 ცნობები:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

გ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობა ს ან სარგებლობის ფორმა
1 2 და ა.შ.					

ბ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოს სახე	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება	ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

გ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

დ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

ე. ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ წელს მაინც, შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის სამუშაოები საერთო ღირებულებით 500 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

-- ცნობას 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1				წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების ასლები
2				
და ა.შ.				

დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

შენიშვნა:

ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები
1				
2				
და ა.შ.				

ბ. ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

გ. ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

11. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

სატენდერო კომისია

მონოსპექტაკლი "რამ შემქმნა ადამიანად"

სექტემბრის ბოლოს თეატრალური ხელოვნების მოყვარულები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ მონოსპექტაკლს, "რამ შემქმნა ადამიანად" იხილავენ.

"ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლის დადგმა ურთულესი გადაწყვეტილება იყო. რამდენადაც გულშიჩამწვდომია ვაჟას შემოქმედება, იმდენად ძნელია მისი სცენური გაცოცხლება, მისი ფილოსოფიის სცენაზე გადატანა", - განაცხადა სპექტაკლის რეჟისორმა ქეთი დოლიძემ.

დოლიძის თქმით, სპექტაკლზე მუშაობა ნიჭიერი მსახიობის, მზია არაბულის პროფესიონალიზმმა მნიშვნელოვნად გააადვილა.

"ქართველ მაყურებელს მონოსპექტაკლში გარკვეულწილად ახალ შტრიხებს შევთავაზებთ. თავად ვაჟა-ფშაველა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა დროსა და ეპოქაში იგი ახლებურად იყოს წაკითხული და ამავე დროს შეინარჩუნოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა. ვიმედოვნებ, რომ ვაჟას ჩვენეული ხედვა მაყურებლისთვის უინტერესო არ იქნება", - აღნიშნავს რეჟისორი.

ქეთი დოლიძე პარალელურად ლაშა ბუღაძის პიესაზე იწყებს მუშაობას, რომლის პრემიერას მაყურებელს, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს შესთავაზებს.

ჯი-ეიჩ-ენი

"დევნილები"

ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საპროდიუსერო ცენტრმა "ჯემინიმ" და მისმა დირექტორმა თიკო ყაჯრიშვილმა აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის შესახებ კინოსცენარი წარადგინა.

სცენარი, სახელწოდებით "დევნილები", რიგითი ოჯახის ტრაგიკული ისტორიაა, თუმცა იმედისმომცემი დასასრულით. სცენარის თანახმად, მომავალი ფილმის სიუჟეტი სასტუმროში ვითარდება, სადაც დევნილი ოჯახის წევრები, მშობლები, მათი შვილი და ბაბუა ცხოვრობენ.

ძლიერი სტრესისა და დუხჭირი ცხოვრების გამო მამა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება, დედა კი გაჭირვებით ზრდის შვილს. წლების შემდეგ შვილი ახალ ოჯახს ქმნის, სადაც ბაბუა თავს ზედმეტად იგრძნობს. იგი ფეხით ჩავა აფხაზეთში, სადაც სახლს აშენებს.

როგორც თიკო ყაჯრიშვილმა განაცხადა, თუ სცენარი კონკურსში ვერ გაიმარჯვებს, იგი მას სხვადასხვა პროგრამებში წარადგენს, რათა ფილმის გადასაღებად ფინანსები მოიზიდოს. მან კონკურსზე წარადგინა დოკუმენტური ფილმის სცენარიც, სახელწოდებით "ხმა, ფერი და მოძრაობა".

დოკუმენტური ფილმი თბილისის ცხოვრების რიტმს ასახავს. ავტორის თქმით, სცენარში ქალაქის ერთი დღის ცხოვრებაა აღწერილი, სადაც ერთმანეთთან შეხამებულია ხმა, ფერი და მოძრაობა.

ჯი-ეიჩ-ენი

ყველაზე ახალგაზრდა დირიჟორი

25 წლის ნგუენ ან შონი ყველაზე ახალგაზრდა დირიჟორი იქნება ვიეტნამის ისტორიაში. მან მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორია დაამთავრა და ვიეტნამის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი გახდება. შონი მუსიკოსების ოჯახში დაიბადა და მშობლების გზას აგრძელებს, მან სასწავლებლად მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი და პრესტიჟული მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორია აირჩია. ორი თვის წინ ახალგაზრდა მუსიკოსმა დაამთავრა საოპერო სიმფონიური დირიჟორის კათედრა და სამშობლოში დაბრუნდა.

პირველად მან თავისი ძალები მოსინჯა ამა წლის მარტში მოსკოვის კონსერვატორიაში. მისი თაყვანისმცემლები სულმოუთქმელად ელიან სცენაზე მის კიდევ გამოჩენას, რომელიც შედგება ქალაქ ხოშიმინში. ამ კონცერტის პროგრამაში კი შედის სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებები.

იაპონიაში უცხოური ფილმები აიკრძალა

1 სექტემბრიდან იაპონიის ტელეარხებზე აიკრძალება უცხოური მულტფილმების ჩვენება. იაპონიის ხელისუფლება სიმფსონებს, პაკემონს და მიკი-მაუსს შეანაცვლებს "მაიმუნ მეფეს" და სხვა იაპონურ მულტფილმებს, რათა მხარი დაუჭიროს ნაციონალურ ანიმაციას. თუმცა იაპონელი ბავშვების 80 პროცენტი უპირატესობას უცხოურ მულტფილმებს ანიჭებს.

ჯერ კიდევ 2000 წელს იაპონიის მთავრობამ სთხოვა ტელეარხების თანამშრომლებს შეამცირონ უცხოური მულტფილმების ჩვენება. 2004 წელს ხელისუფლებამ უკვე ლიმიტი შეადგინა - მულტფილმების 60 პროცენტი უნდა ყოფილიყო იაპონური პროდუქცია. ახლა კი, 2006 წელს საერთოდ აკრძალა მათი ჩვენება. მათ აგრეთვე აკრძალეს საშინელებათა ფილმების ჩვენება, ტელეწამყვანებს ურჩიეს შედარებით კონსერვატიულად ჩაცმა და ეთერში ინგლისური სიტყვების ნაკლებად გამოყენება. ხოლო 2006 წლის აპრილში მათ განაცხადეს, რომ აღარ გასცემენ ლიცენზიებს უცხოურ ჟურნალებზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იაპონური ვერსიის ჟურნალი Rollingstone დახურეს პირველივე ნომრის გამოსვლის შემდეგ.

ბრიტანული "ბუკერი"

ბრიტანეთის Man Booker Prize-ის კომიტეტმა, 2006 წლის 14 აგვისტოს 19 მწერალი დაასახელა, რომელთა რომანებიც ფინალისტების ჯგუფში მოხვდა. პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი 2006 წლის 10 ოქტომბერს დასახელდება.

ვრცელ სიაში ჟიურის წევრებმა 112 რომანი შეარჩია. 2006 წელს ჟიურის წევრებს შორის მოხვდნენ: ლიტერატურის კრიტიკოსი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი გერმიონ ლი, პოეტი და მწერალი საიმონ არმიტეჯი, რომანისტი კანდიდა მაკუილიამი, მსახიობი ენტონი კუინი და კრიტიკოსი ფიონა შოუ. ფინალისტების ჯგუფში კი აღმოჩნდნენ: ავსტრალიელი პიტერ კერი, რომელმაც ორჯერ მიიღო ეს ჯილდო: 1988 და 2001 წლებში. აგრეთვე აფრიკელი მწერალი ნადინ გორდიმერი, რომელმაც 1974 წელს მიიღო ეს ჯილდო და ამავე დროს 1991 წელს ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა. პიტერ კერის რომანები "შაიკი კელის ნამდვილი ისტორია" და "ჩემი ცხოვრება, როგორც ყალბი" თარგმნილია რუსულ ენაზე. ამ ჯილდოსთვის აგრეთვე იბრძვიან ბარი ენსუორტი, სარა უოტერსი და ჯონ მაკრეგორი.

გერმანელი ფოტოხელოვანი თბილისში

შემოდგომაზე თბილისს გერმანელი ფოტოხელოვანი ულრიხ ვიუსტი ერთთვიანი ვიზიტით ეწვევა და ისტორიის მუზეუმში თავისი ნამუშევრების გამოფენას გამართავს.

გამოფენაზე, სახელწოდებით "მთელი ქალაქი", ბერლინის ცენტრში გადაღებული შავ-თეთრი ფოტოები იქნება წარმოდგენილი.

"ულრიხ ვიუსტი ბერლინის შუაგულს ტრანსისტორიულ ადგილად აღიქვამს. მის ფოტოებზე აღბეჭდილი არიან არა ადამიანები, არამედ გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. არსებულ სტრუქტურებში ახალი მიმდინარეობების შეჭრა, მე-2 მსოფლიო ომის ჯერ კიდევ არსებული ნაკვალევის განდევნა, ქალაქის გარემოს რეორგანიზაცია - ეს არის თემები, რასაც ხელოვანი თავის ნამუშევრებში მხატვრულად ასახავს", - ნათქვამია გამოფენის ანოტაციაში. თბილისში ყოფნისას ფოტოხელოვანი ქართველ კოლეგებთან და არქიტექტორებთან ერთად იმუშავებს. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის კი ვორკშოპის ჩატარებას გეგმავს. ულრიხ ვიუსტის თბილისში ვიზიტი 23 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე გაგრძელდება. მას თბილისის გოეთეს ინსტიტუტი უმასპინძლებს.

ჯი-ეიჩ-ენი

დადაიზმი, როგორც ხელოვნების მიმართულება

7 სექტემბრიდან 17 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ პავიაში დადაიზმის, როგორც მხატვრული და ლიტერატურული მიმდინარეობის 90-ე წლისთავი აღინიშნება. ეს მოვლენა აღინიშნება გამოფენით, რომლის სახელწოდებაა "DADADA. თანამედროვე დადაიზმი (1916-2006)".

დადაიზმი, როგორც მხატვრული და ლიტერატურული მიმდინარეობა, პირველი მსოფლიო ომის წლებში შვეიცარიაში ჩამოყალიბდა. მისი მესვეურები "ბურჟუაზიული კულტურისა" და მეშჩანური გემოვნების მსხვრევას ისახავდნენ მიზნად.

ეს მიმართულება მხატვართა ცალკეულ სკანდალურ გამოხტომებში - კარიკატურებში, ფსევდონახაზებსა და შემთხვევითი საგნების კომბინაციის ასახვაში გამოიხატებოდა. გამოფენაზე ცნობილი ავტორების - მან რეის, მარსელ დიუშამპის, ჰანს რიხტერის, კურტ შვიტერსის, პოლ სიტროენის, ჟან კროტის, რაულ ჰაუსმანის, ჰანა ჰოხისა და სხვათა 250 ნაწარმოები იქნება წარმოდგენილი.

გამოფენა ორ სექციად იგეგმება. პირველ მათგანში ისტორიულ ტილოებს გამოფენენ, მეორე სექცია კი დადაიზმის თანამედროვე ნიმუშებს ასახავს.

როგორც ცნობილია, 20-იან წლებში დადაიზმი საფრანგეთში სიურეალიზმს შეერწყა, გერმანიაში - ექსპრესიონიზმს. ექსპოზიციის მეორე სექციაში ხელოვნების იმ ნიმუშებსაც წარმოადგენენ, რომელიც ვირტუალურ პოეზიასა და ვიდეოხელოვნებაზე დადაიზმის გავლენას ასახავს.

ჯი-ეიჩ-ენი

შპს "ქ. თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის" დამფუძნებელ პარტნიორებს

2006 წლის 23 სექტემბერს, 13 საათზე, გიწვევთ შპს "ქ. თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის" დამფუძნებელ პარტნიორთა კრებაზე.

დღის წესრიგი

1. შპს-ს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა

(მომხს. ელ. ქრისტესიაშვილი)

2. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება

(მომხს. ნ. ტრაპაიძე)

კრება ჩატარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №26.

გთხოვთ შენიშვნები და წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით გვაცნობოთ კრებამდე 5 დღით ადრე.

შპს "ქ. თბილისის მოზრდილთა 26-ე პოლიკლინიკის"
დირექტორატი,
სამეთვალყურეო საბჭო.

განცხადება სს "ჭიათურმანგანუმი" აცხადებს აუქციონს აუქციონზე გამოტანილი იქნება

№	ობიექტის დასახელება და მისამართი	ფართის კვადრატული მეტრობა	ექსპლოატაციაში შესვლის თარიღი	გასაყიდი ფართის საწყისი ღირებულება მიწის გარეშე	მიწის წილობრივი ფართი	წილობრივი მიწის საწყისი ღირებულება	ობიექტის საწყისი ღირებულება წილობრივი მიწითურთ
	სს "ჭიათურმანგანუმი"-ს ქ. ჭიათურაში ჯარბელის ტერიტორიაზე არსებული მაღარმშენის საერთო საცხოვრებელი შენობის I სართული წილობრივი მიწითურთ	630 კვ მ	1981 წელი	25 200 ლარი	157,5 კვ მ	393,75	25593,75

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი ბე-ს თანხა შეადგენს საწყისი ღირებულების 10%-ს.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 17 საათამდე სს "ჭიათურმანგანუმ"-ში. იმ შემთხვევაში, თუ მე-20 კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 17 საათზე. აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღების მომდევნო დღის 12 საათზე სს "ჭიათურმანგანუმ"-ში.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ბე-ს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. ბე შეტანილი უნდა იყოს სს "ჭიათურმანგანუმი"-ს შემდეგ ანგარიშზე: სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი სერვისცენტრი №47. ბანკის კოდი 220101502 ა/ა №001467943.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე, ჭიათურა წერეთლის ქ. №1-ში არსებულ სს "ჭიათურმანგანუმი"-ს ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე გაკოტრების მმართველის აპარატში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდაჭერი პროექტი მოწვევა ინტერესების გამოსახატავად

საქართველოს მთავრობამ 2001 წლის 18 ივნისს მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან (IDA) ხელი მოაწერა განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებას ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერ პროექტის განხორციელების მიზნით (კრედიტი N 3502-GE).

პროექტის მიზანია საქართველოში, როგორც მაღალი ძაბვის გადამცემი სისტემისათვის პრიორიტეტული სარეაბილიტაციო ზომების განხორციელება, მისი გამზომი, დისპეტჩერიზაციისა და საკომუნიკაციო სისტემების მოდერნიზაცია, ასევე გადაცემის და დისპეტჩერიზაციის კომპანიებისა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობის თანამედროვე მმართველობითი მეთოდების დანერგვა.

პროექტის ბენეფიციარებია შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"" და კავშირი (ასოციაცია) "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი".

საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო კრედიტი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისაგან (KfW) პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელებლად და გრანტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (EBRD) საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მენეჯმენტის ნაწილის დასაფინანსებლად.

ბენეფიციარებისათვის პროექტის განხორციელებაში დახმარების უზრუნველსაყოფად საქართველოს ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებმა დააფუძნეს პროექტის მომსახურე ორგანოსაცია (პმო), რომელმაც უზრუნველყოფს დახმარებას და კოორდინაციას შემდეგ საკითხებში: პროექტის კომპონენტების მომზადებადა/ლოტირება; ბენეფიციარებისათვის და ცალკეული ობიექტებისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის განხილვა/შეფასება; პროექტის განხორციელების გეგმის მომზადება და ეტაპობრივად მისი რევიზია, ტექნიკურ-ეკონომიური და სპეციფიური შესწავლების, ტექნიკური დავალებების და კონტრაქტების მომზადება, განხორციელება და ზედამხედველობა; პროექტის მენეჯმენტის ანგარიშების მომზადება და ა.შ.

პმო-ში თავისუფალია თარჯიმნის ვაკანსია. Pპმო მოელის ამ თანამდებობების დასაკავებლად შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლებათ იმუშაონ დამატებითი საათები და იმოგზაურონ რეგიონებში.

- საუნივერსიტეტო განათლება.
- ინგლისური, ქართული და რუსული ენების სრულყოფილი ფლობა.
- სამივე ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის სრულყოფილი უნარი.
- საუკეთესოდ ფლობდეს Microsoft office-ს.
- შეეძლოს სწრაფი ტემპით და ინტესიური მუშაობა;
- სასურველია გააჩნდეს გამოცდილება და შესაძლებლობა იურიდიული ან ეკონომიკური ტექსტების თარგმანში: კანონები, დადგენილებები, ბრძანებულებები და სხვა ოფიციალური დოკუმენტაცია;
- სასურველია გააჩნდეს გამოცდილება და შესაძლებლობა ტექნიკური ხასიათის ტექსტების (განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკულ სფეროში) თარგმნაში.
- სასურველია გააჩნდეს ოფიციალურ დონეზე შეხვედრების თარგმნის გამოცდილება;

ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაცია იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ამ მომსახურეობის შესრულების უზრუნველსაყოფად მოთხოვნილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (საქმიანი ბიოგრაფია, დიპლომის ასლი და სხვა).

თარჯიმნის შერჩევა განხორციელდება საქართველოს ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროების და პმო-ს წარმომადგენლებისაგან შექმნილი შემრჩევი კომისიის მიერ და შერჩეული კანდიდატურა შეთანხმებული იქნება მსოფლიო ბანკთან.

დაინტერესებულ კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 1000-დან 1600-მდე Qქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დაინტერესებულ კანდიდატთა განაცხადები უნდა გადაიგზავნოს ან წარდგენილ იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 14 სექტემბრამდე.

ბატონი სერგო გაბუნია
ბატონი კონსტანტინე ჩიქოვანი
სსიპ "ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი ორგანიზაცია"
თბილისი, 0105, ბარათაშვილის ქ. N2,
"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს შენობა
ტელ. (995 32) 92 34 83 ფაქსი (995 32) 92 34 82
ელ-ფოსტა: sgabunia@pso.ge; kchikovani@pso.ge

Georgia
Electricity Market Support Project
Invitation for the expression of interest

On June 18, 2001 the Government of Georgia signed the Development Credit Agreement (DCA) with the International Development Association (IDA) aiming implementation of the Electricity Market Support Project (Credit #3502-GE).

The project aims at of priority rehabilitation measures for Georgia's high-voltage transmission system, modernization of its metering, dispatch and communication systems, introduction of advanced management methodology in managing transmission and dispatch utilities and the wholesale electricity market.

The project beneficiaries are "Georgian State Electrosystem" and Union (Association) Georgian Wholesale Electricity Market.

With the purpose of financing of activities foreseen under the project, the Government of Georgia has signed the loan agreement with the Kreditanstalt fur Wiederaufbau (KfW) and European Bank for Reconstruction and Development (EBRD) has allocated grant to cover the wholesale electricity market management portion of this project.

In order to ensure proper preparation and implementation of the project, Ministries of Finance and Fuel and Energy have established the Legal Entity of Public Law "Electricity Market Support Project Service Organization" (PSO), which coordinates and assists in performance of the following issues: preparation/lotting of the project components; review/estimation of expediency of allocated funds for beneficiaries; preparation and updating of the project implementation plan; preparation of technical-economic and specific studies, preparation of TORs and contracts; implementation and supervision; preparation of the project management reports and etc.

There is a vacant position of Interpreter in Electricity PSO. The PSO expects to get relevant qualified candidates CVs' in order to select candidate for this vacant position. In case of necessity the candidates shall work additional hours and travel in regions.

Candidate is expected to satisfy the following qualification criteria:
- **University education;**
- **Excellent knowledge of Georgian, Russian and English languages;**
- **Outstanding skills of written and verbal translation from and to these languages;**
- **Outstanding knowledge of Microsoft Office;**
- **Ability of quick and intensive work;**
- **Ability and experience in translation of legal and economic documents (laws, statements, decrees and other important documents);**
- **Ability and experience in translation of technical documents (particularly related to power field);**
- **Experience of verbal interpretation at official meetings.**

The PSO invites relevant qualified candidates to hold this vacant position.

Interested candidates shall submit documents confirming their qualification (CV, Diploma, etc.)

Selection of candidates will be carried out by a committee consisting of representatives of Ministry of Finance, Ministry of Energy and Electricity Market Support Project Service Organization and will be agreed with the World Bank.

Additional information can be obtained between 10.00 AM and 16.00 PM on working days at the below given address.

The deadline for application submission is September 14, 2006.

Attn: Mr. Sergo Gabunia
Mr. Konstantin Chikovani
Electricity Market Support Project Service Organization
2 Baratashvili str., 0105, Tbilisi
Tel.: (995 32) 92 34 83 Fax: (995 32) 92 34 82
E-mail:sgabunia@pso.ge; kchikovani@pso.ge

მოკლედ

ნაკრები დახურულ კარს მიღმა ვარჯიშობს

2 სექტემბრამდე საქართველოს ნაკრები არც ერთ ღია ვარჯიშს არ გამართავს. კლაუს ტოპმიოლერმა გუნდის უკეთესად მომზადების მიზნით ასეთი გადაწყვეტილება მიღო. "ჯვაროსნები" საფრანგეთთან მატჩის შემდეგ კიდევ ერთ დღეს დაჰყოფენ თბილისში. 4 სექტემბერს კი კიევისკენ აიღებენ გეზს, სადაც 6 სექტემბერს უკრაინის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდნენ.

რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, სავარაუდოდ დომენეკის გუნდი ჩამოსვლისთანავე მოსინჯავს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის მწვანე საფარს და პირველი ვარჯიში, წესით, ღია იქნება.

ფრანგები მაკელელეს გარეშე?

ჩამოვა თუ არა თბილისში კლოდ მაკელელე ჯერჯერობით უცნობია, მართალია რაიმონ დომენეკმა ნახევარმცველი ნაკრებში გამოიძახა, მაგრამ თავად ფეხბურთელს აღარ სურს სამფეროვანთა გუნდში თამაში, თან არც "ჩელსის" უნდა ფეხბურთელის გაშვება. ერთი სიტყვით, კლოდ მაკელელეს ირგვლივ ერთი აურზაურია ატეხილი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კლოდი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ეტყობა მაინც ვერ მიიღო.

"მაკელელეს კარიერა არ დაუსრულებია, იგი საკლუბო დონეზე თამაშობს, აქვს ფეხბურთელის ლიცენზია და როცა საჭიროდ ჩავთვლი მაშინ შეიძლია მისი გამოძახება ნაკრებში. კლოდი ნაკრების წევრია და ვალდებულია ჩვენთან ერთად იყოს. მართალია მის კლუბს განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი სიტყვა მე მეკუთვნის. თანაც კანონიც ჩემს მხარესაა", - აცხადებს ფრანგების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი.

ფიფას რეგლამენტის თანახმად, თუ საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელებმა მაკელელეზე საჩივარი შეიტანეს, ფეხბურთელს, სულ ცოტა, ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემენ.

აღსანიშნავია, რომ დომენეკ-მაკელელეს დავაში "ჩელსის" თავკაცი ჟოზე მოურინიოც ჩაერია, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაცი კლოდ მაკელელეს ისე ექცევა, როგორც მონას. ცხადია დომენეკმა არც მოურინიოს სიტყვები დატოვა კომენტარის გარეშე.

"ის, რაც მოურინიომ თქვა, უხამსობაა, არ ეკადრება ასეთი დონის მწვრთნელს ასე საუბარი. რაც შეეხება კლოდს, იგი ორ ცეცხლს შორის არის მოხვედრილი, მე მისი დასჯა შემიძლია, მეორეს მხრივ კი არის "ჩელსი" - კლუბი, რომელიც მაკელელეს აშანტაჟებს", - ამბობს დომენეკი.

ამრიგად, უცნობია დაეხმარება თუ არა საფრანგეთის ნაკრებს კლოდ მაკელელე, ამას დაემატა დავიდ ტრეზეგეს ტრავმაც. მართალია, ამ ორი ფეხბურთელის გარეშეც საფრანგეთის ნაკრები ქართველებთან თამაშში ფავორიტი იქნება, მაგრამ ტრეზეგე-მაკელელეს დუეტის არყოფნა "ჯვაროსნებს" გარეკვეულ შეღავათს მაინც მისცემს.

"მილანმა" დროგბას დაადგა თვალი

მას შემდეგ, რაც ზაფხულში "ჩელსიმ" ორი ფორვარდი იყიდა, დიდიე დროგბას პოზიციები ამ გუნდში საგრძნობლად შეირყა. მოურინიო ბოლო შეხვედრებში შევჩენკო-კალუს დუეტს ათამაშებს, დროგბა კი სათადარიგოთა სკამზე ზის. გამორიცხული არაა, რომ აფრიკელმა ლონდონური კლუბი დატოვოს, მით უმეტეს, რომ მას იტალიური "მილანი" იწვევს.

იტალიელები ფორვარდში 21 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან, თუ ბრიტანულ კლუბს ეს წინადადება მოაწყობს, ტრანსფერი დღესვე გაფორმდება.

გაიაფებული ვიერი

ცნობილმა იტალიელმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ კლუბ "ატალანტასთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. ამაში თითქოს უცნაური არაფერი უნდა იყოს. ბერგამოული კლუბი სერია A-ში ითამაშებს და ვეტერანი ფორვარდისთვის "ატალანტა" კარიერის მიწურულს ურიგო ნავსაყუდელი არ უნდა იყოს, გასაკვირი თავად კონტრაქტის დეტალებია. ცნობილი გახდა, რომ ვიერის თვეში მხოლოდ 1500 ევროს გადაუხდიან. არ იფიქროთ, რომ რაიმე შეგვეშალა და ერთი 0 გამოგვრჩა. დიახ, ვიერი სულ რაღაც 1500 ევროდ ითამაშებს ბერგამოულ კლუბში.

კოული "არსენალში" რჩება

ბრიტანული მედიის ინფორმაციით საბოლოოდ ჩაიშალა ეშლი კოული ტრანსფერი ლონდონის "ჩელსიში". "არისტოკრატებმა" არ ისურვეს "არსენალში" უილიამ გალასის გაშვება და ორ კლუბს შორის მოლაპარაკება შეწყდა.

ამავდროულად კოულის "არსენალში" დარჩენა ოდნავ საეჭვოა. ფეხბურთელს საბოლოოდ გაუფუჭდა ურთიერთობა კლუბის ხელმძღვანელებთან.

"კოული "ჩელსიში" არ გადავა, არ ვიცი როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა თუ ეშლი "არსენალში" დარჩა, მას მოუწევს ჩვენთვის იმის დამტკიცება, რომ გუნდში თამაშის ღირსია", - აცხადებს "არსენალის" პრეზიდენტი პიტერ ჰილ-ვუდი.

რონალდომ მონაკოში კვალი დატოვა

არც ისე დიდი ხანია, რაც საფეხბურთო სამყაროში ახალი ჯილდო დაწესდა. ყოველწლიურად მონაკოში ტარდება ერედ წოდებული "ოქროს ფეხის" (Golden Foot) ტიტულის გადაცემა. სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი სპეციალურად მოწყობილ ალეაში ტოვებს თავის ნაკვალევს. ჯილდო ჰოლივუდის ვარსკვლავთ ალეას ანალოგია.

მონაკოში თავისი კვალი უკვე დატოვეს დუნგამ და ზიდანმა, რაიმონ კოპამ და მარადონამ, ზიკომ და ფაკეტიმ. ამჯერად კი რონალდოს ჯერი დადგა. წელს ეს პრიზი ბრაზილიელ ვარსკვლავს გადაეცა და ამიერიდან ფეხბურთის ვარსკვლავების ალეაში რონალდოს ნაკვალევიც იქნება.

ტევესი "არსენალში"

ბრიტანულ გაზეთ "სანის" ინფორმაციით არგენტინის ნაკრების ფორვარდი კარლოს ტევესი კარიერას ლონდონის "არსენალში" გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ არგენტინელი ბრაზილიურ "კორინთიანსში" ირიცხება, მაგრამ ტევესს კლუბის ხელმძღვანელობასთან და გულშემატკივრებთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რამდენჯერმე თქვა, რომ ევროპაში სურს თამაში. ლონდონური კლუბი კი ტევესიში 18 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

ისრაელი უეფას უჩივის

უეფას გადაწყვეტილებით ისრაელის ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საშინაო მატჩებს ისრაელში ვერ გამართავს, მანამ სანამ ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარება არ დარეგულირდება.

ებრაული ფეხბურთის მესვეურებს უეფას ეს გადაწყვეტილება არ მოეწონათ. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები აპირებენ შვეიცარელი ადვოკატების დაქირავებას, რათა უეფას სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლონ.

"ისრაელისთვის ეს ძალიან მკაცრი გადაწყვეტილებაა. ომი უკვე დასრულდა და უსამართლობაა ჩვენი ნაკრებისთვის ისრაელში თამაშის აკრძალვა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ," - აცხადებს ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ავი ლუზონი.

გოვუმ კონტრაქტი გააგრძელა

საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" ნახევარმცველმა სიდნეი გოვუმ 2008 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი თავის მშობლიურ კლუბთან. ახალი კონტრაქტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა სავარაუდოდ "ლიონის" მესვეურებმა ფეხბურთელს ხელფასი გაუზარდეს.

დაზუსტება სატენდერო განცხადებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაზეთ "24 საათში" 21 აგვისტოს ზანდუკელის ქ. №16-ში უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების (საქვაბის მიშენებით) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი - საბანკო გარანტია, რომლის ოდენობაა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%.

სატენდერო კომისია

"ბარსას" განახლებული "რეალის" არ ეშინია

ფრანკ რაიკაარდის "ბარსას" ანგარიშზე სამ სეზონში 300 გოლია.

ფრანკ რაიკაარდმა "ბარსელონაში" მოღვაწეობის მეოთხე სეზონისთვის მზადება გამარჯვებით დაიწყო - კატალონიელენი სეზონის წინ ესპანეთის სუპერთასის მფლობელები გახდნენ. სამი სეზონის განმავლობაში კი რაიკაარდის "ბარსამ" სამი გოლის გაიტანა შეძლო.

კლუბის ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მომავალი სეზონისთვის მზადებაზე ისაუბრა:

- როგორ ფიქრობთ, "ბარსაში" ბევრი რამ შეიცვალა თქვენი მოსვლის შემდეგ?

- არა მგონია. "ბარსელონა" ყოველთვის ტიტულოვანი კლუბი იყო. ერთადერთი იმის თქმა შეიძლია, რომ ჩვენ ყველამ ერთად დიდი გარჯა გავწიეთ და გულშემატკივრებს სიხარული მოვუტანეთ.

- პრიმერადივიზიონი ზედიზედ ორჯერ მოიგეთ, ტიტულის შენარჩუნება წლეულს ცოტა ხომ არ გაგიჭირდებათ?

- ჩვენ მივეჩვიეთ გამარჯვებასა და წარმატებულის იმიჯის ქონას. ამიტომ, პირველ რიგში, ეს მენტალიტეტი უნდა შევინარჩუნოთ და მერე ამას ტიტულებიც მოჰყვება. მთავარია, რომ ფეხბურთელებიც მაქსიმალურად იხარჯებიან და ისე აგრძელებენ მუშაობას, როგორც დავიწყეთ - ყოველდღიური ვარჯიშითა და გუნდური ერთსულოვნების შენარჩუნებით.

- თქვენი თავკაცობისას "ბარსამ" საკუთარი სტანდარტები შექმნა, რასაც გულშემატკივარი თითქოს მიეჩვია კიდეც. ხომ არ ფიქრობთ, რომ რადიკალური ცვლილებებია საჭირო...

- ჩვენ იმ თამაშს ვაჩვენებთ, რასაც ჩვენგან ქომაგები მოელიან. თუმცა, ზოგჯერ ისევე, როგორც გასულ სეზონში, უმნიშვნელო ცვლილებებს ვახორციელებ - ნახევარმცველების ნაცვლად შემტევებს ვაყენებ, ან უფრო ჩაკეტილ თამაშს ვაჩვენებთ, ვიდრე ამას ჩვენი მეტოქე მოელის.

- თქვენი მთავარი მეტოქე მადრიდის "რეალი" ახალი სეზონისთვის საგრძნობლად გაძლიერდა. რას ფიქრობთ, განახლებული "სამეფო გუნდი" ბევრ პრობლემას შეგიქმნით?

- არა მგონია, რადგან "რეალი" ყოველთვის იყო ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ანგარიშგასაწევი ოპონენტი. თუმცა, საფრთხეს მარტო კაპელოს გუნდიდან არ უნდა ველოდოთ. პრიმერადივიზიონში ჩვენს წინააღმდეგ სხვა კლუბებიც გაათმაგებული ძალებით თამაშობენ, ამიტომ მოღუნება ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება დაკარგულ სამ ქულად დაგვიჯდეს.

- ახალ სეზონში "ბარსასთან" დაკავშირებით რა ოცნება გაქვთ?

- მინდა ჩემი გუნდის მიღწევებით ვიამაყო. ჩვენ ყველა რესურსი გვაქვს იმისთვის, რათა ეს სეზონი, წინანდელის დარად, ბრწყინვალედ ჩავამთავროთ.

- როგორ იქცევით მაშინ, როცა ხედავთ, რომ ფეხბურთელი თავგადაკლული ვარჯიშობს, მაგრამ მოედანზე ცოტა ხანს ატარებს იმიტომ, რომ არ გაქვთ საშუალება უფრო დიდხანს შეუშვათ...

- ნებისმიერი მწვრთნელი ყოველთვის ადევნებს თვალს თავისი გუნდის მოთამაშეებს და ცხადია უნდა, რომ მათ ყოველ შეხვედრაში მისცეს ორივე ტაიმში თამაშის უფლება. თუმცა, ფეხბურთში სხვა წესები მოქმედებს. არსებობენ ორი ტიპის მოთამაშეები - ფეხბურთელები, რომლებიც აკონტროლებენ თამაშს და ფეხბურთელები, რომლებიც უბრალოდ თამაშობენ. მწვრთნელის მოვალეობა კი ამ ყველაფრის სწორი ანალიზია. შეუძლებელია, ყველა მოთამაშეს ერთნაირად მიუდგე, თუმცა "ბარსაში" არ არსებობს რომელიმე გამორჩეული ფეხბურთელი, აქ ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, ძლიერ გუნდად რომ ჩამოვყალიბდეთ.

ფორმულა კალენდარს ელის

ფაქტია, "იმოლასა" და "ჰოკენჰაიმის" ტრადიციული "დიდი პრიზები" საგაისო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრიდან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (ფია) მოკვეთა. ყოველ შემთხვევაში, ავტოსპორტის მამების მიერ სამშაბათს გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადება ამაში გვარწმუნებს. ანუ, 2007 წლიდან სამეფო რბოლები ჩატარდება არა 19, არამედ 17 ეტაპად.

ეგაა, ავტოსპორტის მამების შედგენილ განცხადებაში არაა მითითებული იმ ტრასების ზუსტი ადგილმდებარეობა, რომლებმაც სამომავლოდ უნდა უმასპინძლონ "დიდ პრიზებს".

მართალია, ზუსტად არაფერია ნათქვამი თუ მითითებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდრიდან ამოაგდებენ "იმოლას" ტრასას, რომელიც თავის მხრივ იტალიაში ყოველწლიურად მასპინძლობდა მეორე ასპარეზობას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სამეფო რბოლათა" საგაისო კალენდარში აღარ ფიგურირებს "სან მარინოს დიდი პრიზი". ისე კი ამაზე არაერთხელ ითქვა და აჰა, შედეგიც სახეზეა. უფრო სწორად, საუბარი იყო იმაზე, რომ არ შეიძლება ერთი ქვეყანა ორ ეტაპს მასპინძლობდესო, რაშიც, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა იტალია ("ენცო ფერარის" სახელობის ტრასამ წლეულს მეოთხე ეტაპს უმასპინძლა, ხოლო "იტალიის დიდ პრიზი" და, შესაბამისად, "მონცა" ამავე კალენდარში მე-15 ეტაპადაა შეტანილი და იგი 10 სექტემბერს გაიმართება. რედ.) და გერმანია, რომელმაც თავის მხრივ 7 მაისს "ნიურბურგრინგის" ტრასაზე უმასპინძლა "ევროპის დიდ პრიზს", ხოლო "ჰოკენჰაიმზე" 30 ივლისს "გერმანიის დიდ პრიზს". ახლა იმაზეა საუბარი, რომ გერმანიას ერთადერთ საასპარეზო არენად დარჩეს "ნიურბურგრინგის" ავტოდრომი.

აქედან გამომდინარე მსხვერპლი "ჰოკენჰაიმია", რომელსაც მაინც ეიმედება, რომ 2008 წლიდან კვალავაც დაუბრუნდება სამეფო რბოლებს. საქმე ისაა, რომ გერმანულმა ავტოდრომებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს რიგრიგობით უმასპინძლონ მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპებს.

"ჩვენი წინადადება ასეთია: 2007 წელს "დიდი პრიზი" შედგეს "ნიურბურგრინგის" ტრასაზე", - აცხადებს "ნიურბურგრინგის" მმართველი დირექტორი ვალტერ კაფიტცა.

აი, "ჰოკენჰაიმის" წარმომადგენელი კი ამბობს, რომ მათ ავტოდრომზე "რბოლის მასპინძლობის ბედი ბოლომდე არაა გადაწყვეტილი".

ამბობენ, საბოლოო გადაწყვეტილება სექტემბერში გახმოვანდებაო.

საგულისხმოა ისიც, რომ ავსტრალია, რომლიც საკუთარ ეტაპს "ალბერ პარკში" მელბურნის მიდამოებში მასპინძლობდა, 2007 წლის საფორმულე კალენდარს პირველი რბოლის მასპინძლად უბრუნდება. მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდარს უბრუნდება "სპა"-ს ბელგიური ეტაპიცო.

ფორმრულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატებში ერთადერთი ახალი ტრასა იქნება "ფუჯი", რამდენადაც "იაპონიის დიდი პრიზის" აქამდელმა მასპინძელმა "სუძუკამ" კალენდარში ადგილი ვერ მოიპოვა.

როგორც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ საგაისო ჩემპიონატო კალენდარში "იმოლა" არ ფიგურირებს, "სან მარინოს დიდი პრიზის" მასპინძლებს სჯერათ, რომ მომავალ სეზონში რბოლას უმასპინძლებენ. კერძოდ, იმოლას მერი მასიმო მარჩინოლი გვარწმუნებს, რომ საავტომობილო ფედერაციის მოხელენი 17-ის ნაცვლად 18 ეტაპიან კალენდარს შედაგენენ, თუ, რა თქმა უნდა, იმოლელები დროულად დაასრულებენ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ფორმულა 1-ის საბოლოო კალენდარი კი ოქტომბერში გამოქვეყნდება.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს შემდეგი საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტი	საქონლის დასახელება	განსაკუთრებული თავისებურება	მოცულობითი ერთეული	რაოდენობა
№1	ანტისტეპლერი		ცალი	50
	ასბესტბადამცავი	ლურჯი	შეკვრა	164
	ბაინდერი	დიდი	ცალი	2680
	ბეჭდის ბალიშა	ლურჯი მელნით	ცალი	81
	ბლოკნოტი	სქელყდიანი	ცალი	365
	ბლოკნოტი	სქელყდიანი ქარტ.ანბანით	ცალი	20
	ცარცი	თეთრი	შეკვრა	82
	ფაილი	A 4	შეკვრა	827
	ფარჩრის ხათლელი		ცალი	100
	ფაქსის რულონი	30მმ	ცალი	1156
	ფერადი ფანქრები	6 ფერიანი	კოლოფი	62
	ფლინფვართის დაფის მარკერი	ოთხი ფერი	კომპლექტი	10
	ფორმატის ფურცელი	A 3	შეკვრა	10
	პასტა „პილოტი“ ან იდენტური	ფერადები	ცალი	170
	კალკა		რულონი	14
	კალკულატორი	სტანდარტული	ცალი	564
	კლიპ-ფაილი	დამჭერით	ცალი	2302
	კლიპსი	35მმ	ცალი	380
	საქაღალდე	ავტომატური ჩამკეტით	ცალი	60
	საქაღალდე თარო	შავი	ცალი	212
	საშლელი	„ფლინფვართის“ დაფის	ცალი	6
	მარკერი	სხვა და სხვა ფერის	ცალი	945
	მელანი	ლურჯი	ცალი	154
	ქაღალდი	მილიმეტრული (24ფორმ)	რულონი	21
	პასტა	„პარკერის“ ან ანალოგიური	ცალი	12
	პერფოლენტა	17მმ	ცალი	100
	პერგამენტის ქაღალდი		რულონი	3
	სტეპლერის ტყვია	დიდი №24/8	ცალი	1139
	სტეპლერის ტყვია	პატარა №10	ცალი	776
	საქაღალდე	რეზინიანი	ცალი	100
	ლენტა	საბეჭდი მანქანის 13მმ	ცალი	250
	ქაღალდი	რუხი	ცალი	1440
	ქაღალდი	საბუთების შესაფუთი (ხვეული)	ხვეული	190
	მაკრატელი	საკანცელარიო	ცალი	20
	დანა	საკანცელარიო (პატარა)	ცალი	130
	საკანცელარიო ნაკრები	(პატარა)	ცალი	220
	საკანცელარიო რვეული		ცალი	312
	საკანცელარიო წიგნი	100 ფურცლიანი	ცალი	2012
	საქაღალდე	მუყაოს ყდით	ცალი	11390
	საშლელი	რეზინის	ცალი	2276
	ფანქარი	შავი საშლელით, გათლილი	ცალი	4183
	საწერი კალამი	ბურთულიანი წითელი	ცალი	985
	საწერი კალამი	ბურთულიანი ლურჯი	ცალი	14132
	საწერი კალამი	ბურთულიანი შავი	ცალი	1705
	საწერი კალამი	„პილოტის“ ლურჯი ან ანალოგიური	ცალი	546
	სახაზავი	30სმ	ცალი	600
	სახვრეტელა	საშუალო ზომის	ცალი	122
	შენიშვნის ფურცელი	8X8X8	ცალი	666
	შენიშვნის ფურცელი	წებოვანი ოთხკუთხედი	ცალი	450
	სკოჩი	პატარა	ცალი	565
	სამაგრი „სკრეპი“	№4	ცალი	996
	სამაგრი „სკრეპი“	№5	ცალი	559
	სტეპლერი	დიდი №24/8	ცალი	583
	სტეპლერი	პატარა №10	ცალი	1069
	შტრიხი(კორექტორი)	ფუნჯით	ცალი	2697
	სწრაფშიკერი	ცელოფნის	ცალი	130
	სწრაფშიკერი	მუყაო	ცალი	7945
	ტელექსის რულონი		ცალი	465
	საქაღალდე	ტყავის	ცალი	20
	ქაღალდი	ვატმანის	ცალი	110
	წებო .	მშრალი 12გრ	ცალი	2840
	ჭიკარტი	(ჩვეულებრივი)	ცალი	530
	ფაქსის თერმოქაღალდი	210X30მმ	ცალი	160
	ტელეტაიპის პერფორატორის ლენტი		ცალი	320
№2	კონვერტი	A-3	ცალი	10000
	კონვერტი	A-4	ცალი	1888
	კონვერტი	A-5	ცალი	3700.00

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი, ქავთარაძის №11ა;

4. მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **21 სექტემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ფიზიკური პირისთვის :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

სატენდერო კომისია

